ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებელთა განათლება“

ნათია მესხიძე

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა ინგლისური ენის სწავლების პროცესში (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე)

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებელის განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: იზაბელა პეტრიაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევას ინგლისური ენის სწავლების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება პედაგოგიური პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. სწორი შეფასების შემთხვევაში ხორციელდება: ცოდნის სისტემაში მოყვანა, ცოდნის ხარისხის გამომჟღავნება, მოსწავლის ან კლასის ნაკლისა და ჩამორჩენის გამოვლენა, მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება. შეფასებას არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს. განმავითარებელი შეფასების გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. გამომდინარე აქედან ვთვლი, რომ განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე **აქტუალურია**.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით დავადგინე, რომ განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა ინგლისური ენის სწავლების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე დღემდე არავის ჩაუტარებია. აქედან გამომდინარე აღნიშნული კვლევა პედაგოგიურ პრაქტიკაში **სიახლეს** წარმოადგენს.

ჰიპოთეზა: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე მასწავლეებლები სათანადოდ არ იყენებენ განმავითარებელ შეფასებას ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

კვლევის მიზანია: განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე.

კვლევის ამოცანები:

ა) სამაგიდე კვლევა-ლიტერატურის მიმოხილვა;

ბ) კვლევის მეთოდის განსაზღვრა, რესპონდენტთა შერჩევა, კვლევის ინსტრუმენტის შექმნა;

გ) ემპირიული კვლევის ჩატარება;

დ) დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის **კვლევის საგანი** -მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა ინგლისური ენის სწავლების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე.

კვლევის ობიექტი -ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის სწავლა-სწავლების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი **კვლევის მეთოდი**: სამაგიდე კვლევა, ინტერვიუ რესპონდენტებთან. თოვლის გუნდის პრინციპით შეირჩა ბათუმისა და ქობულეთის სკოლების 20 მასწავლებლი.

Natia Meskhidze

Study of Students' Formative Assessment Practices in Teaching English (at the Basic School of General Education).

Annotation

The Master's work deals with the study of students' formative assessment practices in teaching English at the Basic School of General Education (GE). As is known, assessment of students' knowledge is an important and necessary part in the teaching process. Correct assessment contributes to systematize knowledge, to depict the quality of this knowledge, to reveal drawbacks and lagging behind of students and the class, to raise the feeling of responsibility in students. Formative Assessment has a great educational importance: it has a crucial role in improving students' learning outcomes, has educational function.in addition formative assessment helps to improve the degree of education. Thus, it is **topical** to study formative assessment practices at the basic school of GE.

As from the available materials on this issue, it has become evident that the study of formative assessment practices in teaching English at the basic school of GE has not been conducted in Georgia so far. Hence, this is the **novelty** of the present study.

The **hypothesis** of the research: the formative assessment is not properly used in teaching English.

The research **goal** is to study the formative assessment practices in teaching English at the basic school of GE.

The research **objectives**:

a) to carry out desk research – review of literature;

b) to determine research methodology;

c) to conduct empirical research;

d) to make conclusions and recommendations.

The **subject** of the research is the study of students' formative assessment practices in teaching English at the basic school of General Education.

The **object** of the research is the formative assessment process in teaching and learning English at the Primary Stage of General Education.

The following **research methods** have been employed in the study: the qualitative research methods - desk research and in-depth interviews. 20 teachers of English from Batumi and Kobuleti schools (Adjara region) have been selected as respondents by snowball sampling method.

სარჩევი

შესავალი 7

თავი 1. შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - საკითხის განსაზღვრისათვის 9

თავი 2. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება-ისტორიული კონტექსტი 12

თავი 3. საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა-დღევანდელობა 22

თავი 4. განმავითრებელი შეფასება უცხო ენის სწავლებისას საბაზო საფეხურზე საქართველოში 29

თავი 5. ინგლისური ენის გრიფირებული სახელმძღვანელოების ანალიზი (საბაზო საფეხური) 35

თავი 6. განმავითარებელი შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - საერთაშორისო გამოცდილება 37

6.1. ესტონეთის გამოცდილება 37

6.2. ფინეთის გამოცდილება 39

კვლევითი ნაწილი 44

დასკვენები 64

რეკომენდაციები 65

გამოყენებული ლიტერატურა: 66

დანართი 1

დანართი 2

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევას ინგლისური ენის სწავლების საბაზო საფეხურზე. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება პედაგოგიური პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. სწორი შეფასების შემთხვევაში ხორციელდება: ცოდნის სისტემაში მოყვანა, ცოდნის ხარისხის გამომჟღავნება, მოსწავლის ან კლასის ნაკლისა და ჩამორჩენის გამოვლენა; მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება. შეფასებას არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს. ასევე, განმავითარებელი შეფასების გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში.

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას, ეხმარება მას თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენასა და შეფასებაში, ხელს უწყობს საკუთარი წინსვლისთვის გააზრებული ნაბიჯების გადადგმაში. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე **აქტუალურია.**

ეროვნულ სასწავლო გეგმაში საუბარია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების შესახებ. განმავითარებელი შეფასება გულისხმობს არა ქულებით, არამედ სიტყვიერ შეფასებას. იგი , ხელს უწყობს მოსწავლეებში უცხო ენის უკეთ დასწავლას ასევე უვითარებს მათ სხვადასხვა უნარებს და მიზანიც ესაა, მოსწავლეთა შეფასების სისტემამ *„ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას“[ეროვნული* სასწავლო გეგმა,თავი 4. მუხლი 1]

ჰიპოთეზა: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე მასწავლეებლები სათანადოდ არ იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

კვლევის მიზანია: განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე.

კვლევის ამოცანები:

ა) სამაგიდე კვლევა-ლიტერატურის მიმოხილვა;

ბ) კვლევის მეთოდის განსაზღვრა, რესპოდენტთა შერჩევა, კვლევის ინსტრუმენტის შექმნა;

გ) ემპირიული კვლევის ჩატარება;

დ) დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის კვლევის საგანი-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის სწავლების პროცესში მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა.

კვლევის ობიექტი-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის სწავლა-სწავლების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი: სამაგიდე კვლევა, ინტერვიუ რესპოდენტებთან, თოვლის გუნდის პრინციპით შეირჩა ბათუმისა და ქობულეთის სკოლების 20 მასწავლებლი.

თავი 1. შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - საკითხის განსაზღვრისათვის

პედაგოგიური პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, მოსწავლეთა შემოწმება-შეფასება. ცოდნის შემოწმება-შეფასების საშუალებით ხდება:

1. მოსწავლეთა მიერ შეთვისებული ცოდნის სისტემაში მოყვანა, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში(თვე, მეოთხედი, წელიწადი);
2. მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გამომჟღავნება და ამ ცოდნის დიფერენცირებულად შეფასება;
3. ცალკეული მოსწავლის, მთელი კლასის ნაკლის გამოვლენა;
4. მოსწავლის საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება, პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება.

აქედან გამომდინარე, ცოდნის შემოწმება და შეფასებას არა მარტო საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება არა მხოლოდ პედაგოგიურ სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიებაა, არამედ სახელმწიფოებრივი კონტროლის ფორმასაც წარმოადგენს. ამდენად, იგი სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებაა.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების ძირითადი პრინციპებია:

1. შემოწმება და შეფასება უნდა იყოს ინდივიდუალური ე.ი. ის უნდა იძლეოდეს ამომწურავ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის ცოდნაზე. ამ პრინციპის მიხედვით, მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია ყურადღებით უნდა შეისწავლოს მასწავლებელმა, რათა იცოდეს თითოეული მოსწავლის ნაკლი. ასევე შემოწმების საშუალებით გაიგოს რა და როგორი ხარისხით შეითვისა მოსწავლემ და რა უნდა გაკეთდეს მოსწავლის შემდგომი წარმატებისთვის.
2. ცოდნის შემოწმება-შეფასებას დიფერენცირებული ხასიათი უნდა ჰქონდეს, ე.ი. ცოდნის შემოწმება უნდა ხდებოდეს დადგენილი ნორმების მიხედვით. დიფერენცირებული შეფასება მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ის საშუალებას იძლევა დადგინდეს მოსწავლეთა ცოდნის მოცულობა და ხარისხი, ამ

მეთოდიდთ შეფასებისას მოსწავლე ხდება უფრო პასუხისმგებლიანი და უვითარდება თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის უნარი.

3. ცოდნის შემოწმება-შეფასება ცოდნისა და მისი შეფასებისადმი ერთიანი მოთხოვნილების მკაცრი დაცვით უნდა მოხდეს.
4. ცოდნის შემოწმება-შეფასებაში უნდა იყოს დაცული ობიექტურობა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სრული პასუხისმგებლობა შეფასებისთვის. ეს პრინციპი მოითხოვს მასწავლებლის ობიექტურობას. შეფასების პროცესში მასწავლებელი უნდა იყოს მკაცრი, მაგრამ ბოლომდე სამართლიანი.
5. შემოწმება-შეფასებას სისტემატიური ხასიათი უნდა ჰქონდეს, მისი ეპიზოდური გამოყენება ცუდ გავლენას ახდენს სწავლების პროცესზე, ასევე სკოლის ცხოვრებაზე. ეპიზოდური შემოწმება მოსწავლეს აჩვევს სიზარმაცეს. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის დაქვეითებას. ცოდნის სისტემატიური შემოწმება-შეფასება კი ხელს უწყობს ცოდნის განმტკიცებას.

ცოდნის შემოწმება შეფასების ძირითადი სახეებია:

1. მიმდინარე შემოწმება და შეფასება;
2. სემესტრული შემოწმება;
3. წლიური შეფასება და გამოსაშვები გამოცდები.

ახლა კი მიმოვიხილოთ უილიამსის, ტომსონის და ბლეკის მოსაზრებები განმავითარებელი შეფასების შესახებ.

უილიამსმა და ტომსონმა გამოყეს სამი მთავარი პროცესი სწავლებასა და სწავლაში:

1. დადგენა თუ რა დონეზე არიან მოსწავლეები სწავლის პროცესში;
2. დადგენა იმისა თუ რა მიზნისკენ მიდიან;
3. დადგენა იმისა, თუ რა გზებია საჭირო რომ ისინი მივიდნენ მიზნამდე. (Wiliam and Thomson 2007)

ტრადიციულად,მასწავლებელი არის პასუხისმგებელი ამ სამი პუნქტის შესრულებაზე. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთშეფასებასაც.

უილიამსის და ტომსონის აზრით განმავითარებელი შეფასება კონცეპტუალიზდება შემდეგი 5 სტრატეგიისგან:

1. სასწავლო მიზნების გამოაშკარავება და გააზრება;
2. ეფექტური დისკუსიების და სხვა სასწავლო ამპოცანების გამოყენება მოსწავლის გაგების დონის გასარკვევად;
3. უკუკავშირის უზრუნველყოფა, რომელიც მოსწავლეს წინსვლის საშუალებას მისცემს;
4. გავააქტიუროთ მოსწავლის სასწავლო რესურსები ერთმანეთისთვის;
5. გავააქტიუროთ მოსწავლეები, როგორც საკუთარი სწავლის პროცესების მფლობელები.

ბლეკისა და უილიამსის (2002) მიხედვით, შეფასება შეიძლება ჩაითვალოს განმავითარებლად თუ ფაქტი მოსწავლის წარმატების შესახებ არის ჩამოყალიბებული, ინტერპრეტირებული და გამოყენებული მასწავლებლის, მოსწავლის მიერ. ასევე მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, თუ შემდეგ საფეხურზე როგორ მიაღწევენ უკეთეს შედეგს.

თავი 2. მოსწავლეთა ცოდნის შეფასება-ისტორიული კონტექსტი

შეფასება იმ დროიდან არსებობს, როცა გაჩნდა ცნებები მასწავლებელი-მოსწავლე, მხოლოდ განსხვავებული იყო მისი გამოხატვის ფორმები: სიტყვიერი კომენტარი ან შესაბამისი ქცევა, ქმედება. ამ პერიოდისთვის, ჯერ არ იყო შემუშავებული შეფასების მეთოდები, მექანიზმები, სტრატეგიები, სისტემურად არ იყო დახვეწილი და არც დიდაქტიკური საფუძვლები იყო შესწავლილი. მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და სტრატეგიები სასწავლო პროცესის შემადგენელი აუცილებელი ნაწილი ხდება მე-15 საუკუნიდან(ი.ბასილაძე 2016).

საუკუნეების განმავლობაში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში განსხვავებული აზრი ფიქსირდებოდა. ვ. სელენსკი, ს. შაცკი, დ. უზნაძე თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე და შ. ამონაშვილი იყვნენ ცოდნის ნიშნით შეფასების სისტემის წინააღმდეგი. მათი აზრით, ნიშნებით შეფასების სისტემა იყო მასწავლებელსა და მოსწავლეს მშობელსა და ბავშვს თანაკლასელებს შორის დაძაბული დამოკიდებულების შექმნის მიზეზი და კონფლიქტის მიზეზი. ნიშნებით შეფასება არის არაობიექტური, რადგანაც ამ დროს არ ჩანს მოსწავლის მიერ დახარჯული ენერგია, სწორედ ამის ლოგიკური გაგრძელებაა შეფასებისადმი პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების უარყოფითი დამოკიდებულება.

პედაგოგიკის თეორია იცნობს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს: თორმეტბალიანი ხუთბალიანი, ათბალიანი სისტემები(ი.ბასილაძე 2016).

მიუხედავად შეფასების ფორმების სხვადასხვაობისა, შეფასების ყველა ფორმა გამოხატავს საზოგადოების მიერ დეკლარირებულ ნორმასთან მოსწავლის განათლების დონის შესაბამისობას. მასში მოიაზრება რამდენიმე პარამეტრი: პირველი _ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, თუ რამდენადაა მზად პიროვნება სწავლების შემდეგი ეტაპის სირთულეების დასაძლევად. მეორე _ რამდენად შეუძლია თანატოლებსა და საზოგადოებაში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება და თვითდამკვიდრება. მესამე _ მოსწავლეს განათლების ყველა ეტაპზე ესაჭიროება შეფასება, როგორც მისი განვითარების დონის

განსაზღვრისა და წახალისების საშუალება, საზოგადოებას კი, როგორც პიროვნების დამოუკიდებელობის მაჩვენებელი.

განმავითარებელი შეფასება გამოიყენება კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას. მისი მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. ეს მასწავლებელს ეხმარება სწორად დაგეგმოს სწავლება და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს ["განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება" მარიანა ხუნძაყიშვილი]

განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას შორის განსხვავებას განაპირობებს სწორედ ის, თუ სწავლების რომელ ეტაპზე და რა მიზნით ხორციელდება შეფასება (Bailey and Jakicic, 2012, გვ.14)

მნიშვნელოვანია მოსწავლის ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოსწავლეს ზუსტი წარმოდგენა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რა მიზნისკენ მიდის, ასევე რა ისწავლა და რისი გაკეთებაა საჭირო ამ მიზნის მისაღწევად. ამაში მას მასწავლებლის უკუკავშირთან ერთად მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტების გამოყენება დაეხმარება. საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვება მოსწავლეს განუვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, ჩამოუყალიბებს მეტაკოგნიტურ და თვითრეგულირებადი სწავლისათვის საჭირო უნარებს(მ. ხუნძაყიშვილი, 2018).

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამება კი შესაძლებელია ბლექისა და უილიამის განმარტებით, რომლის მიხედვითაც, შეფასებას განმავითარებელი შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ მაშინ, თუ ხდება ამ შეფასების შედეგების გაანალიზება და სწავლებისა და სასწავლო აქტივობების მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით (Black and Wiliam, 2014). ეს კი ნიშნავს სწავლების დიფერენცირებას.

დაიან ჰიქოქსის განმარტების მიხედვით: დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სწავლების ტემპის, სირთულის ან მეთოდის ცვლას თითოეული მოსწავლის საჭიროების, სწავლის სტილის ინტერესების მიხედვით (Heacox, 2002).

დიფერენცირებული სწავლება და განმავითარებელი შეფასება ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. ზოგჯერ მასწავლებლები ამბობენ, რომ განმავითარებელი

შეფასება ძალიან დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ არ ღირს მასზე დროის ხარჯვა; ხოლო დიფერენცირებული სწავლება, რომელიც მოსწავლეებისთვის განსხვავებული დავალებების მიცემას გულისხმობს, სრულიად არარეალისტურია, განსაკუთრებით, – მრავალრიცხოვან კლასებში.

გადის დრო და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების მიმართ ჩნდება განსხვავებული შეხედულებები, უკმაყოფილებას გამოთქვამენ მოსწავლეები. მათ მიაჩნიათ, რომ შეფასება ხშირად არაობიექტურია. ქულები მოსწავლეთა ინდივიდუალურობის რანჟირების საშუალებას არ იძლევა. სწორედ ამ განსხვავებული შეხედულებების საფუძველზე XX საუკუნის ბოლოს დაიწყო ექსპერიმენტები ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში. ჩამოყალიბდა განსხვავებული ხედვა შეფასებასთან დაკავშირებით. ექსპერიმენტის ავტორებმა უარი თქვეს მხოლოდ ნიშნებით შეფასებაზე. მათთვის საკლასო საქმიანობები გახდა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება-შეფასების ძირითადი ორიენტირი.

საქართველოში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების შესახებ ინფორმაცია ძალიან მცირეა. თუმცა ლიტერატურულ ნაწარმოებებში ჩანს რომ უპირატესობას ანიჭებდნენ სიტყვიერ ანუ განმავითარებელ შეფასებას.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე გავლენას არ ახდენდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ნიშნებით/ბალებით მას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა და არ ახდენდა ცოდნაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას, სწორედ ამიტომ, არც მასტიმულირებელი საშუალება იყო.

არა ერთი მეცნიერი ასახელებდა ნიშნებს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის დაძაბული ურთიერთობის გამომწვევ მიზეზად, რაც სხვადასხვა სახით ვლინდებოდა. იყო შემთხვევები როცა მოსწავლე დაბალი ნიშნის გამო დაუსჯიათ, სათამაშოები წაურთმევიათ, სტუმრად არ გაუშვიათ, აუკრძალიათ ქუჩაში გასვლა და სხვა (დ.ს.გურგენიძე, 1954).

სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“ დიდაქტიკური ნაწარმოებია, რომელშიც სწავლა-აღზრდის პროცესში ჰარმონიული აღზდის ორ კომპონენტზე, ფიზიკურ და გონებრივ აღზრდაზე კეთდება აქცენტი. ნაწარმოებში ჩანს რომ მასწავლებელი უპირატესობას სოკრატულ მიდგომას ანიჭებს, სწორედ ამიტომ იგი მოსწავლეს

იგავებით ესაუბრება. ამდენად, მასწავლებელი უვითარებს მოსწავლეს კრიტიკულ აზროვნებას, არგუმენტირებულ კამათს, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას, ალტერნატივების განხილვას (ი.ბასილაძე, 2016).

სულხან-საბას ნაწარმოებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, იმ პერიოდისთვის განმავითარებელ შეფასებას ენიჭებოდა უპირატესობა. მოსწავლეს თავად გამოაქვს დასკვნები საკუთარ საქციელზე, ამით ის სწავლობს თვითშეფასებას. მასწავლებელი ჯუმბერს უქმნის პრობლემურ სიტუაციებს, რომლის დაძლევაც მას შემდგომში ცხოვრებაში მოუწევს. ამგვარი აღზრდის საშუალებით საზოგადოების წევრი გახდება პიროვნება, რომელიც სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღია, მას გააჩნია კრიტიკული, შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნება, საკომუნიკაციო უნარები.

ამავე ნაშრომში ი. ბასილაძე, აღნიშნავს 1915 წელს დ. უზნაძემ ქ. ქუთაისში დაარსა ქალთა სკოლა „სინათლე“. ის ცდილობდა სკოლაში შეექმნა ურთიერთგაგების ატმოსფერო, თვლიდა რომ ასეთ გარემოშია სწავლა-აღზრდა შედეგიანი. აღსანიშნავია რომ დ. უზნაძე თვლიდა ნიშნით შეფასება უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მოსწავლეებზე და მთელ რიგ ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ დარღვევებს იწვევდა (ბასილაძე, 2016).

განმავითარებელი შეფასების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ უნიშნო შეფასების პრაქტიკას ადრე, ჯერ კიდევ 1916 წელს, დიმიტრი უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი, როცა ქალთა გიმნაზიაში აკრძალა ქულებით შეფასება, რადგან მიაჩნდა, რომ ნიშანი ყოველთვის სუბიექტურია და ძაბავს ურთიერთობას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მასწავლებლები ცალკე რვეულში ინიშნავდნენ, რა იცოდნენ მოსწავლეებმა და რა - არა, შემდეგ კი ამ ჩანაწერების მიხედვით აძლევდნენ რეკომენდაციებს. უზნაძის აზრით, უნიშნო შეფასებამ, მართალია, მასწავლებლებს სამუშაო მოუმატა, მაგრამ სამაგიეროდ სწავლა უფრო მიზანმიმართული და შედეგიანი გახადა, მათთვისაც, ვინც მანამდე წარუმატებელ მოსწავლედ ითვლებოდა.

1921 წელს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. იწყება ფიქრი შეფასების უფრო დემოკრატიულ ფორმაზე- უნიშნო შეფასებაზე. ხოლო 1932 წლიდან

შემოდის სწავლების პრუსიული მოდელი. ინერგება მოსწავლეთა ქულებით ცოდნისა და უნარ- ჩვევების შეფასება-შემოწმების ბიჰევიორისტული მიდგომა. ეს მოხდა რადგანაც ტოტალიტარულ სახელმწიფოში სწავლებაც და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებაც ავტორიტატულია. მოსწავლეები ფასდებოდნენ მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნებით. მათი ყველა მიმდინარე ნიშნის საშუალო არითმეტიკულით გამოყავდათ მეოთხედის ქულა. შერჩევით საგნებში ტარდებოდა გამოცდები. გამოცდის ნიშანი გავლენას ახდენდა მოსწავლის წლიურ ნიშანზე (ი. ბასილაძე, 2016).

1935 წლის 5 სექტემბრის დადგენილებით დაწესდა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების 5 ხარისხი(ნიშნები): 1-ძალიან ცუდი, 2-ცუდი, 3-საშუალო, 4-კარგი, 5-ფრიადი. მოთხოვნა იყო,რომ შეედგინათ მოსწავლეთა შეფასების ნორმები იმგვარად, რომ ცოდნის ერთი და იგივე დონე ყველა სკოლაში ერთნაირად შეფასებულიყო (დ.ს. გურგენიძე, 1954).

დ. გურგენიძის მიხედვით, მეოცე საუკუნის განმავლობაში საქართველოში სკოლაში, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების ძირითადი სახეები იყო: მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შემოწმება და შეფასება, მეოთხედური და წლიური შემოწმება-შეფასება.

ზემოთ აღნიშნული წყაროების დამუშავების შედეგად შეგვიძლია

დავასკვნათ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების მეთოდებიდან უმთავრესია:

1. მიმდინარე დაკვირვება
2. ზეპირი გამოკითხვა;
3. საკონტროლო წერითი შემოწმება;
4. მოსწავლის პრაქტიკული ნამუშევრის ანალიზი.

მიმდინარე დაკვირვება ერთ-ერთიმნიშვნელოვანი საშუალებაა თითოეული მოსწავლის ღრმად და ყოველმხრივ შესწავლისთვის. საჭიროა სისტემატიური, ყოველდღიური დაკვირვება იმაზე, თუ როგორი ყურადღებით უსმენს მოსწავლე გაკვეთილის ახსნას, რამდენად აქტიურად მონაწილეობს სასწავლო მუშაობაში. მიმდინარე დაკვირვება რთულია ვინაიდან მასწავლებელი ერთი

მხრივ,ორიენტირებულია ახალი მასალის გადაცემაზე, მეორე მხრივ კი სახის მიმიკაზე დაკვირვებით ამოწმებს სად უჭირს მოსწავლეს გაგება. ყოველივე ეს მასწავლებლისგან მოითხოვს დიდ პედაგოგიურ დახელოვნებას.

მიმდინარე დაკვირვების საშუალებით მასწავლებელს შეუძლია მუდმივი ყურადღების არეში იყოლიოს თითოეული მოსწავლე, რასაც უთუოდ გრძნობენ თვით მოსწავლეები. მასწავლებლისა და მოსწავლის ასეთი ურთიერთდამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია მთელი კლასის აქტიურად ჩართვა პედაგოგიურ პროცეში.

ზეპირი გამოკითხვა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების ძირითად მეთოდს წარმოადგენს. ზეპირი გამოკითხვა დაკავშირებულია შემდეგ ძირითად მომენტებთან: ა) მასწავლებლის მიერ შეკითხვების სწორად შერჩევასთან; ბ) მოსწავლეთა პასუხის ხარისხთან; გ) მასწავლებლის რეაგირებასთან მოსწავლეთა პასუხზე. იმაზე თუ რამდენად სწორად არის შერჩეული კითხვა, რა სიღმით უპასუხებს მას მოსწავლე და რამდენად გულისხმიერად ეკიდება მასწავლებელი მოსწავლის პასუხს, დამოკიდებულია მოსწავლეთა შემოწმება- შეფასების ხარისხზე ზეპირი გამოკითხვის პირობებში.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურება, მისი ტემპერამენტი და შექმნას ისეთი ატმოსფერო, რომ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება მშვიდ და ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდეს.

მოსწავლის ცოდნის გამომჟღავნების და შეფასების პროცესის სწორი წარმართისთვის აუცილებელია: ა) მასწავლებელი მთელი ყურადღებით უნდა უსმენდეს მოსწავლეთა პასუხს, შეუმჩნეველი არ დარჩეს არც ერთი უმნიშვნელო შეცდომა. ბ) მასწავლებელი უნდა იჩენდეს სიდინჯეს, სიმშვიდეს თავშეკავებულობას გამოკითხვის მთელ პროცესში გ) მასწავლებელი დიდი სიფრთხილით უნდა ჩაერიოს მოსწავლის პასუხში მხოლოდ მაშინ, თუ ეს აუცილებელია. მასწავლებელი უნდა ეცადოს, სხვადასხვა გზით თვით მოსწავლე მიიყვანოს შეცდომის გასწორებამდე. თუ მასწავლებლის ყველა ცდა კრახით დამთავრდა, ის მთელ კლასს რთავს შეცდომის გამოსწორებაში.

მასწავლებელი მთელ კლასთან მუშაობას სიფრთხილით უნდა მოეკიდოს. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს შექმნილი ისეთი სამუშაო გარემო, რომ არ დააბრკოლოს ისინი მუშაობის დროს. ეფექტურ საშუალებად ითვლება კლასისთვის ფრონტალური კითხვების დასმა, რადგანაც მასწავლებელი ახერხებს მაქსიმალურად ჩართოს ბავშვები მუშაობაში.

დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და წერითი მეტყველების კულტურის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკონტროლო წერით მუშაობას, რადგანაც საკონტროლო წერითი მუშაობა მოსწავლის ცოდნის სისტემაში მოყვანისა და მისი ხარისხის შემოწმება- შეფასების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებაა.

საკონტროლო წერითი მუშაობის სწორად ჩატარებისთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

ა) საკონტროლო წერითი მუშაობის თემები არ უნდა იყოს შემთხვევითი და გამომდინარეობდეს სასწავლო საგნის პროგრამიდან;

ბ) თემა ნათლად და ყველასთვის გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ყოველი საკონტროლო წერითი მუშაობის წინ მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს თემა, დაწეროს დაფაზე ან რამდენჯერმე გაიმეოროს.

გ) საკონტროლო წერითი მუშაობის წინ მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ თემის გეგმა, თუკი ეს აუცილებელია.

დ) წერითი სამუშაოს შესრულების დროს უნდა გამოირიცხოს მასწავლებლის ან მოსწავლის დახმარება, ნაშრომი უნდა შესრულდეს დამოუკიდებლად. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია დასაშვები მასწავლებლის მხრიდან დახმარება, რითაც ის მოსწავლეს სწორი მიმართულებით წაიყვანს.

საკონტროლო წერითი მუშაობის შესრულების პროცესში კლასში უნდა იყოს სრული წესრიგი, რათა მოსწავლეებმა მშვიდად შეასრულონ სამუშაო.

მოსწავლეთა პრაქტიკული ნამუშევრების ანალიზი:

მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის შემოწმება-შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს; იმის დადგენას, თუ რა ცოდნასა და ჩვევებს ამჟღავნებს მოსწავლე დამოუკიდებლად მუშაობისას, რამდენად

შემოქმედებითად იყენებს ცოდნას პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად; როგორია მისი ტექნიკური მომზადების დონე, რამდენად იცავს სიზუსტეს, რამდენად იჩენს განსაკუთრებულ ნიჭს და ა.შ. ყოველივე ეს მჭიდრო კავშირშია მოსწავლის შემოწმება-შეფასების ზემოთ განხილულ მეთოდებთან და მას დიდი ადგილი უნდა დაუთმოს თითოეულმა პედაგოგმა (დ.ლორთქიფანიძე, 1983).

საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ იმ კრიტერიუმებზე, რომლითაც ვაფასებთ მოსწავლეს.

პირველი-საზომი არის ის თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლის ცოდნა-ჩვევების მოცულობა პროგრამით გათვალისწინებულს;

მეორე -რამდენად გააზრებულად და მტკიცედ აქვს მოსწავლეს შეთვისებული ეს ცოდნა;

მესამე-რამდენად შესწევს მოსწავლეს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი და რამდენად იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში.

არსებობს ნიშანთა კრიტერიუმები, რომლებიც გასაგები უნდა იყოს არა მარტო მასწავლებლებისათვის, არამედ თითოეული მოსწავლისათვისაც. ამიტომაც მასწავლებელს მოეთხოვება არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნიშნით, მოკლე სიტყვიერი კომენტარი გაუკეთოს მის მიერ დაწერილ ქულას, რით დაიმსახურა მოსწავლემ ასეთი შეფასება და რა უნდა გააკეთოს მომავალში წარმატებისთვის.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასება მხოლოდ მაშინ ასრულებს სასწავლო-აღმზრდელობით ფუნქციას თუ იგი შეგნებულად ყოველმხრივ გაიაზრა მოსწავლემ. ნიშნის გააზრებისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის სიტყვიერ შეფასებას.

სიტყვიერი განმარტებით მასწავლებელმა მოსწავლე უნდა ჩაახედოს თავის ცოდნაში, მიუთითოს მას წარმატების, ამავდროულად ხარვეზისა და ნაკლის შესახებ, რაც შემდეგში დაეხმარება ხარვეზების აღმოფხვრაში (დ.ლორთქიფანიძე, 1983).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე შემოწმებას, რადგან მასწავლებელს მეტი საშუალება აქვს დაინახოს მოსწავლის ცოდნა.

მიმდინარე შეფასება ხელს უწყობს მასწავლებელს დაინახოს და ზუსტად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა. იგი ეხმარება მასწავლებელს აღმოაჩინოს მოსწავლის

ცოდნაში არსებული ხარვეზი და გაარკვიოს ამ ხარვეზის გამომწვევი მიზეზი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი აღმოფხვრის ღონისძიებების სწორად დაგეგმვისათვის.

სასკოლო პრაქტიკაში წლიური შემოწმება-შეფასება ნაწილობრივ წარმოებდა გამოცდების გზით.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა წლიურ შეფასებას, რომლის მიზანიცაა შეაჯამოს მოსწავლეთა მიერ სასწავლო წლის მანძილზე მიღწეული წარმატებები და გამოავლინოს ნაკლოვანებები. ასევე ის აჯამებს მასწავლეებელთა მიერ ჩატარებულ მუშაობას. ამრიგად, წლიური შემოწმება-შეფასების დროს ხდება, მოსწავლის მასწავლებლის კონტროლი.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა დ.უზნაძე თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მუშაობა მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენისათვის, მათი ძალების განვითარებისთვის, თუმცა იმ პერიოდისათვის ნაკლები ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა ინფორმირებას არსებულ და სასურველ აკადემიურ მოსწრებას შორის განსხვავების შესამცირებლად, არ ხდებოდა მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება სასწავლო მასალის მიწოდებისა და ათვისების დროს (სასწავლო პროცესის კორექცია შეფასების შედეგების შესაბამისად).

შეფასების სისტემის განვითარების საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე შ. ამონაშვილს, რომელიც თავის წიგნში „მოსწავლეთა ცოდნის შეფასების აღმზრდელობითი ფუნქცია” ვრცლად აღწერს ნიშნებით შეფასების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მოსწავლეზე. მისი აზრით, შემეცნებითი აქტიურობისა და მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის დაქვეითების გამომწვევი მიზეზი, პირველ რიგში, არასწორად ორგანიზებული სასწავლო პროცესი, სუსტი მეთოდიკა და მოსწავლეთა შეფასების ტრადიციული სისტემაა. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგების უმრავლესობის თვალთახედვით, სწავლის მოტივაციის ძირითადი საშუალებაა ნიშანი, შ. ამონაშვილი ცდილობს, განდევნოს იგი სასწავლო პროცესიდან. ის კვლევების საფუძველზე ამტკიცებს, რომ მოსწავლეების სწავლის პროცესისადმი დამოკიდებულება დაკავშირებულია სწავლების მეთოდიკაზე, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის სტილზე, სასწავლო მასალასა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების სისტემაზე. სწავლების განმავითარებელი

ფუნქციის ფსიქოლოგიურ ასპექტს საფუძვლად უდევს იდეა: მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის ზუსტად და სრულად შეთვისება, რაც სწორი და სრული წინამძღვრების საფუძველზე გაკეთებული დასკვნების ხარისხს ზრდის. ამიტომ პედაგოგის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოსწავლისთვის ბუნებით თანდაყოლილი ყველა ინტელექტუალური უნარის განვითარება.

შ. ამონაშვილის მოსაზრებები ნამდვილად პროგრესული და საინტერესოა, მაგრამ მისი ნაშრომი მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შეეხება. ავტორი აღნიშნავს, რომ დაწყებითში სწავლის მოტივაცია მაღალია, მაგრამ მისი დაქვეითება იწყება მე-5 კლასიდან და გრძელდება სკოლის დამამთავრებელ კლასებშიც. ამონაშვილის შრომა რეალურად ყველაზე პრობლემური ასაკის მოსწავლეებზე არ ვრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად არის განხილული ნიშნის როლი მოზარდის სოციალიზაციის საკითხში, იგი მაინც ვერ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას საბაზო და საშუალო საფეხურზე უნიშნო შეფასების დანერგვის პროცესზე.

კლასიკური პედაგოგიკის თეორიების მოქმედების პერიოდში მოსწავლეთა შეფასების საკითხი იმდენად სრულყოფილად იყო წარმოდგენილი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა ჩვენი განათლების სისტემა, ფაქტობრივად, დაინგრა და მხოლოდ ინერციით განაგრძობდა არსებობას, შეფასების სისტემა, რომელიც ისევ აღნიშნულ თეორიებს ეყრდნობოდა, მის თანამედროვე ანალოგთან შედარებით, ბევრად მდგრადი და მეცნიერულად დასაბუთებული სახით განაგრძობდა არსებობას.

ამრიგად, საქართველოში მოსწავლეთა შეფასების სისტემის არსებობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი თანდათან იხვეწებოდა და კლასიკური პედაგოგიკის ჩამოყალიბების ეპოქაში განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ფაქტობრივად, ამ პერიოდში არსებული შეფასების სისტემა მოიცავდა დღევანდელ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს.

თავი 3. საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა - დღევანდელობა

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 5 ეხება ეროვნულ სასწავლო გეგმას, სადაც მოცემულია უნარ- ჩვევების და ცოდნის ჩამონათვალი, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველ საგანში თუ საგნობრივ ჯგუფში კლასის ან საფეხურის დამთავრებისას.

ზოგადი განათლების კანონის მიხედვით მოსწავლეებს შესაბამის ცოდნასთან ერთად უნდა განუვითარდეს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, რათა მათ მომავალში გააცნობიერონ საკუთარი მოვალეობები საზოგადოებასა და სახელმწიფოს წინაშე. ზოგადი განათლების შესახებ კანონში გაწერილია ზოგადი განათლების მიზნები, რომლის მიხედვითაც მოზარდმა უნდა შეძლოს:

დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება-სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად,ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარ ჩვევები;

იყოს შემოქმედი თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე, განივითაროს უნარი, რომელიც მისცემს საშუალებას, უკვე არსებული გამოიყენოს ახალი ღირებულებების შესაქმნელად;

საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში- *„სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.*“(კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2007წ)

შეფასების შესახებ რეგულაციებს ვხვდებით ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში (2018-2024). საბაზო საფეხურის ნებისმიერ კლასში საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისივე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.(ინგლისური ენა საბაზო საფეხურის სტანდარტი)

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, რუბრიკა და სხვა“

შეფასების სისტემის მთავარ მიზანი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების ხარისხის მართვაა, რაც გულისხმობს, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასებას რამდენიმე ამოცანა აქვს: მან ახალი საკითხის შესწავლამდე უნდა განსაზღვროს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს რამდენად აქვს მოსწავლეს უნარი შეაფასოს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, რამდენად ეფექტურად ახერხებს იგი საკუთარ წინსვლას. შეფასებამ უნდა აჩვენოს, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ცოდნის ფუნქციურად გამოყენება.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განმავითარებელი შეფასება განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიზნად ისახავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასების გამოყენების დროს მოსწავლის ცოდნა განისაზღვრება წინარე შედეგებთან შედარებით. განმავითარებელი შეფასების გამოყენება შეუძლია მასწავლებელს (მაგალითად ზეპირსიტყვიერი უკუკავშირი)და მოსწავლესაც(თვითშეფასება, ურთიერთშეფასება).

თანამედროვე ზოგადი განათლების სისტემაში ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტია „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის #84 დადგენილება,

რომელსაც ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმა და იგი განსაზღვრავს თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი ზოგადი განათლების სისტემამ.

საგნობრივი პროგრამის სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას:

1. დეკლარატიულს, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედულურად გამოყენებას.
2. პროცედულურს ანუ დინამიურს, რომელიც ცოდნის რეალიზების, გამოყენების საშუალებას იძლევა.
3. პირობისეული ცოდნა ეს არის ფუნქციური ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფაცოდნის ადექვატურად გამოყენებას.

ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024წ) მთავარი ამოცანაა ისეთი საგანმანათლებლო გარემოსა და რესურსების შექმნა, რომელიც მიღწევადს გახდის ეროვნულ მიზნებს.

საქართველოში შეფასების სისტემის შესახებ რეგულაციები მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის(2018-2024)მეშვიდე თავი მთლიანად ეთმობა მოსწავლის შეფასების სისტემას რადგან მოსწავლის შეფასების მიზანი სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, მისი გაუმჯობესება და კონტროლია. მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით(ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, წარმდგენა, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა). შეფასება უნდა იძლეოდეს მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ ინფორმაციას და აუცილებელია მოსწავლემ იცოდეს თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობები.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

V კლასის მეორე სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი შეფასება.

სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: ა) მიმდინარე საშინაო დავალება; ბ) მიმდინარე საკლასო დავალება; გ)

შემაჯამებელი დავალება. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების გამოყენება სემესტრის განმავლობაში ნებისმიერ კომპონენტში შეუძლია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განმავითარებელ შეფასებას, განმსაზღვრელთან შედარებით, გაცილებით ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი. ამას, პირველ რიგში, გვაფიქრებინებს ის, რომ როცა საქმე განმსაზღვრელ შეფასებას ეხება, დეტალურადაა ახსნილი ქულების გამოანგარიშების წესები, ქულათა სახეობები და ა.შ. განმავითარებელი შეფასება კი, ფაქტობრივად, მხოლოდ განმსაზღვრელთან ერთადაა მოცემული, ისიც ძალიან მოკლედ, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს და, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მაგალითად, რას გულისხმობს მასწავლებლის მიერ გამოყენებული წამახალისებელი მითითებები და სიმბოლური ნიშნები.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 28. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში**

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

როგორც ვხედავთ ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები როგორიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა. განმავითარებელი შეფასების ორი ტიპია: განმავითარებელ-მიმდინარე და განმავითარებელ-შემაჯამებელი. თითოეული მათგანის დანიშნულება და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე ზეგავლენა ბოლომდე არ არის შესწავლილი. ამიტომ დღემდე დავის საგანია შეფასების პრინციპები და მეთოდები განათლების სფეროს წარმომადგენლებსა და მეცნიერებს შორის.

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზანია შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების განვითარება. ის მოსწავლესა და მასწავლებელს ეხმარება, თანმიმდევრულად გააუმჯობესონ სწავლება/სწავლის პროცესი უკეთესი შედეგების მისაღწევად. განმავითარებელი შეფასების საშუალებით მასწავლებელი სწავლის პროცესში აკვირდება (მეთოდი) ცალკეულ მოსწავლეს ან მოსწავლეთა ჯგუფებს, რათა განსაზღვროს თითოეული მოსწავლის საჭიროებები და ხელი შეუწყოს მათ წინსვლას.

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც მასწავლებლის საქმიანობას აწესრიგებს და, შესაბამისად, შეფასების საკითხებსაც მოიცავს, არის **მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი** (2014წ). როგორც ვიცით, სტანდარტის მიხედვით მასწავლებლები 4 კატეგორიად იყოფიან. ესენია: პრაქტიკოსი, წარჩინებული, მკვლევარი და მენტორი. სტანდარტის მიხედვით, თითოეული მათგანის კომპეტენციები, შესაბამისად, მოვალეობები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება, მათ შორის, შეფასების საკითხთან დაკავშირებითაც. შესაბამისად, საკითხის სრულყოფილად გაანალიზებისათვის, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია,განვიხილოთ თითოეული კატეგორიისადმი წაყენებული მოთხოვნები.

როგორც ვხედავთ, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში განმავითარებელი შეფასების შესახებ ცალკე მოთხოვნა არაა გაწერილი, თუმცა შეფასების სხვადასხვა ტიპს, სქემებისა და რუბრიკების შექმნა ყველა მასწავლებელს მოეთხოვება, რადგან მათი საშუალებით შეიძლება განმავითარებელი შეფასების მიზნების მიღწევა, რომელიც შემდეგია:

1. იმის გარკვევა თუ რა იციან და რა შეუძლიათ, რა არ იციან და რისი უნარი აქვთ არასაკმარისად განვითარებული მოსწავლეებს;
2. სწავლების გაუმჯობესება, „გააზრებით სწავლის“ ხელშეწყობა;
3. იმის გარკვევა, თუ დამატებით რა სახის საკორექციო და გამამდიდრებელი აქტივობებია ჩასატარებელი მოსწავლეებთან;
4. იმის გარკვევა თუ რომელი მოსწავლეები საჭიროებენ საგანგებოა დახმარებას;
5. მოსწავლეებისათვის მათი პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

6. მშობლების ინფორმირება შვილების პროგრესის შესახებ.

განმავითარებელი შეფასების საგანი უშუალოდ სწავლის პროცესია. მისი საშუალებით შესაძლებელია წარმატების კრიტერიუმების განსაზღვრა. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი მიღწევების საფუძველზე განმავითარებელი შეფასების საშუალებით, დაადგინოს რა დონეს ფლობდა და რა დონეს ფლობს, წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობების შერჩევა, სწავლების სტრატეგიების შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვა.

განმავითარებელი შეფასების საშუალებებია: თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, კითხვარი, სიტყვიერი(ზეპირი, წერილობითი) კომენტარი, უნარის განვითარების დონის აღწერა.

განმავითარებელი შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყო მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, აუცილებელია ჰუმანური დამოკიდებულება მოსწავლის შეფასებისას, რომელიც მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. განმავითარებელი შეფასება ემსახურება მოსწავლის განვითარებასა და პიროვნებად ფორმირებას, რეკომენდაციები, რომელსაც განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს, ეხმარება მოსწავლეს გაიუმჯობესოს ცოდნა, როცა შეფასების რუბრიკაში კომპონენტები და კრიტერიუმები მოსწავლეთა მონაწილეობითაა შემუშავებული იგი გამორიცხავს შემფასებლის სუბიექტურობას და ხელს უწყობს სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, რაც იწვევს შემეცნებითი აქტიურობის გაზრდას, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას.უნდა გვახსოვდეს, რომ შეფასება ცალმხრივი პროცესი არ არის, ამ პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა ზრდის მათ პასუხისმგებლობას შემუშავებული კრიტერიუმების დაცვის დროს.

მასწავლებელმა ყველა დაინტერესებულ პირს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რა ტიპის შეფასების მეთოდს მიმართავს, რა ვადებში და რა ინსტრუმენტების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგი შეფასების ფორმებსა და მეთოდებს არჩევდეს სასწავლო მიზნების შესაბამისად. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მასზე დაკვირვებასა და თვითშეფასების უნარების

განვითარებაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთშეფასებას. რაც მთავარია, შეფასების გზით მიღებულ ინფორმაციას მასწავლებელი უნდა იყენებდეს მომავალი გაკვეთილების დაგეგმვის დროს, რათა შეძლოს მოსწავლეთა სუსტი მხარეებისა და ხარვეზების აღმოფხვრა.

განმავითარებელი შეფასებისას მნიშვნელოვანია მისი სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. განსაკუთრებით მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგის, დროული, მკაფიო და კონსტრუქციული უკუკავშირისა და წახალისების გამოყენება.

განმავითარებელი შეფასების შესაძლებლობები სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში მაღალია. განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებელი რაც უფრო ხშირად იყენებს უკუკავშირს მით უფრო მაღლდება მოსწავლეთა მოსმენის ხარისხი. ზუსტად და დროულად გამოვლენილი მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარე ეხმარება მასწავლებელს შეიტანოს კორექტირება სასწავლო პროცესში. ყველაფერი ეს კი ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

განმავითარებელი შეფასების შედეგია:

1. მასწავლებლის მიერ ერთ მოცემულ კლასში სასწავლო პროცესის კორექცია, შეფასების შედეგების შესაბამისად;
2. მოსწავლეთა მიერ სწავლის ხერხების ცვლილება და მისი მორგება შეცვლილ რეალობებზე;
3. სასწავლო კლიმატის ცვლილება კლასში, სწავლა-სწავლების მიმართ ახალი მოლოდინების ჩამოყალიბება;
4. მზა კორექტირებული სასწავლო გეგმა იმავე საჭიროებების მქონე მოსწავლეების, მომავალი თაობებისათვის;
5. ცვლილება სკოლის მაშტაბით-სკოლაში განმავითარებელი შეფასების გაზიარებული ხედვის ჩამოყალიბება, სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების აქტივობების საშუალებით.

ამჟამად, საქართველოში მოსწავლეებს აფასებენ შეფასების ათბალიანი სისტემით. მეხუთე კლასის მეორე სემესტრამდე მოსწავლეები ფასდებიან მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით, მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან, კი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით.

თავი 4. განმავითრებელი შეფასება უცხო ენის სწავლებისას საბაზო საფეხურზე საქართველოში

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (მუხლი 3. ზოგადი განათლების საფეხურები) საბაზო საფეხური სავალდებულო სწავლების დამამთავრებელი ციკლია. მოსწავლეთა ნაწილი ტოვებს სკოლას და აქტიურ ცხოვრებაში ერთვება. საბაზო საფეხურზე უცხოური ენის მთავარი მიზანია, მოსწავლის აღჭურვა საბაზისო ცოდნით, რათა მან გზა გაიკვლიოს თანამედროვე ცხოვრებაში, განუვითარდეს მოსწავლეებს მოქალაქეობრივი შეგნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევები(ტოლერანტობა, პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა, თვითგანვითარება, კრიტიკული აზროვნება, თვითგამოხატვა.

საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ორ უცხოურ ენაზე ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში;
- კითხვის, მოსმენის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიების გამოყენება და ცოდნის დონის ამაღლება.
- ცოდნის დონის დამოუკიდებლად ამაღლება ამა თუ იმ მიმართულებით (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, კულტურა);
- ინტერაქცია განსხვავებულ კულტურულ თუ სოციოკულტურულ კონტექსტებში.

საბაზო საფეხურზე სწავლების ამოცანაა მოსწავლის მომზადება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორიცაა გეზის არჩევა (აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმა, პროფესიული განათლების მიღება, სკოლაში სწავლის გაგრძელება). ყოველივე ამისთვის საჭიროა სწავლებაში ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც მოსწავლის პოტენციალს გამოავლენს.

სკოლამ მოსწავლეს უნდა მისცეს ლექსიკურ-გრამატიკული უნარების განვითარების საშუალება რითაც შეძლებს შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთდროულ გამოყენებას.

მოსწავლე უნდა იყოს სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე. ამის უზრუნველსაყოფად მასწავლებელმა იგი უნდა ჩართოს განმავითარებელი შეფასების

კრიტერიუმების შედგენაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ხელს შეუწყობს ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვაში; სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მეტაკოგნიციის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციებიდან ერთ-ერთია სწავლის სწავლა-"learning for learning"-რაც გულისხმობს *„სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარს. მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე: დაეხმაროს მოსწავლეს იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლემბიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშავოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი"* [ეროვნული სასწავლო გეგმა,2018=2019 მუხლი 17]

„სწავლის სწავლა", უცხო ენის სწავლების სტანდარტის მიხედვით, გულისხმობს მოსწავლეების მხრიდან *„სასწავლო პროცესის მიმდინარეობის გაანალიზებას- ვინ რა ხერხი, რა მიდგომა თუ სტრატეგია გამოიყენა. რა სირთულეებს წააწყდენ, რამ შეუწყო ხელი სირთულის გადალახვს, რამ შეაფერხა წინსვლა: შედეგების დამოუკიდებლად შეფასებას; გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას; სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას; იმ ფაქტორების გამოწვევას, რომლებიც დადებითად მოქმედებს სასწავლო პროცესზე და სხვა"* [ესგ 2018-2024, საგნობრივი პროგრამა უცხო ენებში]

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შესაქმნელად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ კითხვარები, რაც საშუალებას მისცემს მათ გააცნობიერონ მათი მიდგომა კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას. საჭიროა განმავითარებელი შეფასების სქემები, ფსიქოლოგიური ხასიათის ტესტები, ახალი ალტერნატიული მეთოდების გამოყენება, რომლებიც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის განვითარებისთვის.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით მოსწავლეები ეუფლებიან სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს, რომელთა შეთვისებაც ხდება თანდათან მასწავლებლის ხელმძღვანელობით. სწავლის ძირითადი სტრატეგიებია: მნისვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა, რადგან შეუძლებელია მოსწავლის მიერ მასწავლებლისგან მოწოდებული, ყველა ინფორმაციის დამახსოვრება, ამიტომ მას უნდა შეეძლოს, მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის დიფერენცირება. სასწავლო პროცესის დროს აუცილებელია:

- მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს გაკვეთილის მიზანი;
- გამოყოს ძირითადი ცნებები და მოსწავლეებს დაანახოს მათ შორის კავშირი;
- მასწავლებლებმა ისე დასვან კითხვები,რომ ნათლად გამოჩნდეს არსებითი საკითხები;
- გამოიყენონ მარკირების მეთოდი არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციების ხაზგასმისათვის.

მოსწავლის უნარის, ერთმანეთს დაუკავშიროს არსებული ცოდნა და ახალი ცნებები გასავითარებლად საჭიროა:

- გაკვეთილი უმჯობესია დავიწყოთ ახსნილი მასალით. „ხარაჩოს პრინციპის მსგავსად“. განვლილ მასალაზე დავაფუძნოთ ახალი ცოდნა. შეგვიძლია ნასწავლი საკითხები დაფაზე გადმოვიტანოთ. ამ დროს მოსწავლე აქტიურია და აანალიზებს რა ახსოვს შესწავლილი თემის ფარგლებში და რა არა;
- ახალი თემის ახსნაშიც მასწავლებელთან ერთად მოსწვლე აქტიურია და იყენებს აზროვნებისა და დასწავლის სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც ქვემოთ იქნება მოცემული;
- მოსწავლეების რეფლექსია-თვითშეფასება გამოიყენება ამ უნარის განვითარებისთვის. მოსწავლეებს მიეცემათ სქემები, სადაც მოცემული იქნება, მაგალითად: ვიცი/მინდა ვიცოდე/ვისწავლე კატეგორიები ჩანაწერების გაკეთება ეფექტიანია მოსწავლეების ყურადღების კონცენტრაციისა და ინფორმაციის კოდირების უნარების განვითარებისათვის. სწავლის პროცესში გაკეთებული ჩანიშვნები, განვლი მასალაზე მუდმივი რეფლექსია, მოსწავლეს საშუალებას აძლევს დრო და

დრო შეაფასოს საკუთარი ცოდნა და აკონტროლოს მიღებული ინფორმაცია. ამ ჩანაწერებს „ინფორმაციის საწყობს“უწოდებენ.[ეფექტიანი სწავლება გვ.97]

- იმისთვის რომ სწორი ჩანაწერები აწარმოოს მოსწავლემ უნდა იცოდეს:
- როგორ ამოიცნოს ძიროთადი მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- ჩანაწერების სტრუქტურა, რომელიც მასწავლებელმა უნდა მიაწოდო ნიმუშის სახით.

ჩანაწერების გაკეთების პროცესს თვალს ადევნებს მასწავლებელი. აუცილებელია მოსწავლეებს აუხსნას, რომ ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება. უკეთესია თუ მასწავლებლის დახმარებით ისინი:

- გააკეთებენ მასალის მონახაზს;
- გამოიყენებენ ცნებათა რუკას, სადაც განმარტებული იქნება ახალი ცნებები და მათ შორის არსებული კავშირი, რაც ბევრად გაუმარტივებთ მასალის ათვისებას.

მასალის შეჯამება-ზემოთ აღწერილი მოქმედების შემდგომ ხდება შესწავლილი მასალის ერთმანეთან დაკავშირება და შეჯამება. ეს გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში კერძოდ:

- მოსწავლეები საშინაო დავალების სახით წერენ წაკითხული ან მოსმენილი მასალის შეჯამებას. შესაძლოა, ეს იყოს ტექსტის რეზიუმე ან წაკითხულის გააზრება;
- მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში, განიხილავენ ერთმანეთის ნაშრომებს და ამ გზით ივითარებენ წერით უნარ-ჩვევებს;
- ახდენენ მიღებული მასალის კოდირებას- გამოყოფენ ძირითად და მეორეხარისხოვან მასალებს;
- განიხილავენ და შემდგომ მსჯელობენ მიღებულ მასალაზე;

ზემოთ აღწერილი სწავლის სტრატეგიების გარდა მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სწავლებისა და სწავლის მეთოდებიც, რადგან იგი საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვნად ცვლის მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებას.

მოსწავლეებს ამ ინტერაქციული სწავლების მეთოდების საშუალებით შეუძლიათ აქტიურად იმუშაონ შესასწავლ მასალაზე და გაიუმჯობესონ არსებული ცოდნა:

დისკუსია/დებატები-სადაც მოსწავლეები ივითარებენ მსჯელობისა და კამათის, საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

ჯგუფური(collaborative) მუშაობა = სოციალური უნარების განვითარება, აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა;

თანამშრომლობითი სწავლება(cooperative) - მოსწავლეები თითონაც სწავლობენ და იმეცნებენ ახალ მასალას და ამავე დროს სხვებსაც ეხმარებიან მის ათვისებაში;

ევრისტიკული მეთოდი - მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობა, საკითხის განსაზღვრაში და ფაქტებს შორის კავშირის დანახვაში;

შემთხვევის ანალიზი(Case study) - კონკრეტული შემთხვევის ანალიზი, რომელიც შესაძლოა განვაზოგადოთ მომავალში;

გონებრივი იერიში(Brain Storming) - მოცემული საკითხის ირგვლივრაც შეიძლება მეტი ინფორმაციისა და იდეის მოხმობა და ამ გზით საკითხის გაანალიზება;

როლური და სიტუაციური თამაშები - სხვადასხვა როლის მორგება და დისკუსია სწავლის პროცესს სახალისოს ხდის;

დემონსტრირების მეთოდი - ვიზუალური საჩვენებელი მაგალითების საშუალებით მოსწავლეები უკეთ იმახსოვრებენ მასალას, მით უფრო დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები;

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი - მოსწავლეებს ეხმარება მსჯელობის წარმართვისა და დასკვნის გამოტანაში;

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - მსჯელობა და დაწვრილებითი განხილვა მოცემული საკითხის ირგვლივ;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - გულისხმობს თეორიული მასალის პრაქტიკულ ინტერპრეტაციას;

ელექტრონული სწავლება (e-learning)- თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში უკვე დანერგილი და ეფექტიანი სწავლების მეთოდი. როდესაც მოსწავლეები ელექტრონულად ამზადებენ დავალებებს, აკეთებენ ჩანაწერებს, აწარმოებენ პორტფოლიოებს და ელექტრონულ ჟურნალებს.

მოსწალეებში განმავითარებელი შეფასებისთვის ამ მეთოდების ცოდნას ცალსახად დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან მოსწავლეები ამ გზით უკეთ ერკვევიან ცოდნის კონსტრუირების გზებში და მათ უკეთ შეუძლიათ საკუთარი თავის შეფასება შესაბამისი კრიტერიუმებით. მათ უყალიბდებათ ხედვა რას გულისხმობს სწავლების პროცესი და როგორ შეიძლება მისი დამოუკიდებლად ან მასწავლებლის დახმარებით მართვა. ყოველივე ეს ზრდის მოსწავლეების მისწრაფებას იცოდნენ მეტი და წარმატებით გაუმკლავდნენ ამა თუ იმ დავალებას.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია განმავითარებელი შეფასების ორი ტიპი: განმავითარებელ-მიმდინარე და განმავითარებელ-შემაჯამებელი. თითოეული მათგანის დანიშნულება და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე ზეგავლენა ბოლომდე არ არის შესწავლილი. ამიტომ დღემდე დავის საგანია შეფასების პრინციპები და მეთოდები განათლების სფეროს წარმომადგენლებსა და მეცნიერებს შორის.

თავი 5. ინგლისური ენის გრიფირებული სახელმძღვანელოების ანალიზი (საბაზო საფეხური)

ინგლისური ენის გრიფირებული სახელმძღვანელოების უმეტესობა, რომელსაც დღესდღეობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში იყენებენ Macmillan Education-ის გამომცემლობაა. წიგნების დამუშავებისას აღმოჩნდა, რომ წიგნებში მოცემულია კითხვარები და რუბრიკები. Macmillan-ის სახელმძღვანელოებიდან სამი ყველაზე მეტად გავრცელებული სახელმძღვანელოა: New inspiration, English World, Gateway. აქედან ორი New inspiration, და English World საბაზო საფეხურებზე ისწავლება, Gateway კი საშუალო საფეხურზე გვხდება.

New inspiration 1, 2, 3, დონეები, რომლებსაც მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასებში ასწავლიან, მოცემულია განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტის თვითშეფასების სქემები-„Learning Independence-Self assessment", სადაც მოცემულია კითხვა რამდენად კარგად იცი?(How good are you at?). თითოეულ საკითხს, რომლებიც მოსწავლეებმა გაიარეს თავების განმავლობაში აფასებენ "Fine" "Not sure" ფრაზებით. მსგავს რუბრიკებთან ერთად სახელმძღვანელოში მოცემულია დამატებითი სავარჯიშოები, რათა მოსწავლემ კიდევ უფრო დარწმუნებით უპასუხოს თუ რამდენად კარგად იცის განვლილი მასალა.

სურათი-1 თვითშეფასების სქემა სახელმძღვანელო "New Inspiration"

სურათი-2 თვითშეფასების სქემა სახელმძღვანელო "New Inspiration"

კიდევ ერთი სახელმძღვანელოა English World, დაწყებითი კლასებიდან ისწავლება, მისი მაღალი დონეები კი მეშვიდე და მერვე კლასებშიც გვხდება. მასში არ არის კითხვარი ან რუბრიკა წინა სახელმძღვანელოსგან განსხვავებით.

ზემოთ განხილული ორი სახელმძღვანელოდან, როგორც დავინახეთ, ერთში გამოყენებულია განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი- თვითშეფასება. თუმცა სასურველი იქნებოდა, რომ განმავითარებელ შეფასებას უფრო მეტი ადგილი ჰქონოდა დაკავებული ინგლისურის საბაზო საფეხურის სახელმძღანელოებში. ასევე მასწავლებლებსაც შეუძლიათ დაავალონ მოსწავლეებს საკუთარი შეფასების რუბრიკების შექმნა, შემდეგ ჰკითხონ მათ მოეწონათ თუ არა ამ პროცესში ჩართულობა და რამდენად იყო ის რეალური. ასევე საინტერესოა, განმავითარებელი შეფასების ფორმების self-assessment, self-evaluation, self grading-ი. პირველი ორი გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი თავის სიტყვიერად შეფასებას, მესამე კი ქულით შეფასებას. ასევე არსებობს learning journals- დღიურები რომლებსაც მოსწავლეები აწარმოებენ. ყოველივე ამის გაკეთება შეუძლიათ მასწავლებლებს თუმცა სახელმძღვანელოში განმავითარებელი შეფასების ეს ინსტრუმენტები მოცემული არ არის და ნაკლებად სავარაუდოა რომ ამ ინსტრუმენტებს მასწავლებლები გამოიყენებენ. აქედან გამომდინარე სასურველი იქნებოდა, რომ ინგლისური ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებში განმავითარებელ შეფასებას მეტი ადგილი ეთმობოდეს.

თავი 6. განმავითარებელი შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში - საერთაშორისო გამოცდილება

6.1. ესტონეთის გამოცდილება

ესტონეთი ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ ის მოწინავეა ევროპის ქვეყნებს შორის განათლების სისტემით, საშუალოზე მაღალი შედეგები აქვს PISA-ს (Programe For International Student Assessment) შედეგების მიხედვით.

ამჟამად ესტონეთისთვის განათლების კუთხით მთავარი პრიორიტეტი არის ევროპული ორიენტაცია.

განათლების სფეროს განვითარებისთვის აუცილებელი იყო რეფორმები, რაშიც ესტონეთს დაეხმარა ფინეთის განათლების სფეროს წარმომადგენლები. ისინი აძლევდნენ რჩევა-დარიგებას ესტონეთის სასწავლო გეგმის შექმნისას. ფინეთში უდიდესი მნიშვნელობა ეთმობოდა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას და სწავლების პროცესში განმავითარებელი შეფასების ფორმების გამოყენებას. ესტონეთში კი განმავითარებელი შეფასების ეს ფორმა ბოლო რამდენიმე წელიწადია დაიწყო, რაც აისახა ესტონეთის შედეგებში საერთაშორისო კვლევაში (PISA-Programe For International Student Assessment).

ესტონეთში მასწავლებელთა კონგრესი 1987 წლიდან აღნიშნავს რეფორმების პირველი პერიოდის დასაწყისს. მოხდა გაკრიტიკება საბჭოთა კავშირის განათლების სისტემისა და დაიწყო ბრძოლა ახალი კურიკულუმისთვის ზოგად განათლებაში. 1989 წლის შემოდგომისთვის, მანამ სანამ ქვეყანა დამოუკიდებლობას მოიპოვებდა სკოლები უკვე გეგმავდნენ გავეთილებს ახალი კურიკულუმით. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ კი, ის უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა. კურიკულუმის რეფორმა მოედო მთელს სისტემას (PISA-Programe For International Student Assessment).

ახალი კურიკულუმი ყურადღებას ამახვილებდა: პრობლემის გადაჭრის, დემოკრატიულად გადაწყვეტილების მიღების, კრიტიკული აზროვნების და პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.(განახლებული ვერსია გამოვიდა 2002 წელს)

ადრეულ 1990 წლებში სკოლამ დაიწყო ახალი ერა ესტონეთის განათლების სისტემის განვითარებაში. ჩატარდა რეფორმები, სკოლას მიენიჭა მნიშვნელოვანი

ავტონომია მათ შორის კანონში საგანმანათლებლო პრიორიტეტების შესახებ (Santiagoetal, 2016). მოხდა ახალი სასწავლო გეგმის დანერგვა და განათლების სისტემის გარდაქმნა. უპირატესობა მიენიჭა თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას და მათში გამორჩეული პიროვნების დანახვას.

რეფორმების მეორე ეტაპი (1995-2004) ესტონეთისთვის იყო როცა ის მოითხოვდა და საბოლოოდ გახდა ევროკავშირის წევრი. 1996 წელს ესტონეთში მიიღეს ახალი კურიკულუმი, რომელშიც მთავარი იყო მოსწავლეთა შეფასების საკითხი.

სკოლებისა და გიმნაზიებს შესახებ კანონში (PISA-Programe For International Student Assessment)შეფასების მიზნად დასახულია:

1. მოსწავლის განვითარების მხარდაჭერა;
2. მოსწავლის პროგრესის ხელშეწყობა;
3. მოსწავლის ორიენტირება სწავლაზე;
4. მოსწავლეთა ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა მასწავლებლის მიერ;
5. შეფასება არის მოსწავლეთა მომდევნო კლასში გადასვლის და/ან სკოლის დამთავრების საფუძველი.

ზემოაღნიშნულ კანონში აღწერილია, რომ შეფასებამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და სახელმწიფო ობიექტური უკუკავშირით მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. ეს კანონი აგრეთვე სახელმწიფოს აწვდის ინფორმაციას განათლების პოლიტიკის განსაზღვრისათვის.

ესტონეთის ეროვნულ სასწავლო გეგმაში საბაზო საფეხურისთვის (2011, 2014 შესწორებებით)

განმავითარებელი შეფასების შესახებ ნათქვამია, რომ იგი გამოიყენება სწავლის პროცესში მოსწავლის ცოდნის, ღირებულებების, უნარების, დამოკიდებულებების განსავითარებლად. უკუკავშირით ხდება გარკვევა რამდენად განვითარდა მოსწავლე წინა შედეგებთან შედარებით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება განახორციელოს კვლევები სწავლის პროცესში საბოლოო მიზნის მისაღწევად. განმავითარებელი

შეფასებით ყურადღება გამახვილებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე.

განმავითარებელი შეფასების გამოყენება უნდა ხდებოდეს კონკრეტული თემის შესწავლისას, მისი მთავარი მიზანია გაარკვიოს თუ რამდენად კარგად გაიაზრა მოსწავლემ საკითხი, ეს მასწავლებელს ეხმარება სწავლების სწორად დაგეგმვაში და სასწავლო მიზნების მიღწევაში

განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია უკუკავშირი, მან ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლინებას სასწავლო მიზნების მისაღწევად.

მასწავლებელმა მუდმივად უნდა იზრუნოს მოსწავლის ქცევის პასუხისმგებლობის და სწავლაში წარმატების უნარის ჩამოყალიბებისთვის.

განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი სახე პორტფოლიოა. *„მასწავლებლის პორტფოლიო მტკიცებულებებზე დაფუძნებული წერილობითი დოკუმენტია, რომელშიც მასწავლებელი ლაკონურად, სტრატეგიულად და სელექციურად განათავსებს ინფორმაციას მიმდინარე მიღწევების შესახებ. პორტფოლიო, როგორც წესი, 8-10 გვერდისგან შედგება და სამ ძირითად სფეროს მოიცავს: სწავლებას, კვლევას და ბენეფიციარებთან მუშაობის ხარისხს.“*

ვფიქრობ, რომ ესპანეთის სასწავლო გეგმაში მეტი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი განმავითარებელ შეფასებას. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი რომ საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებით ესტონეთის კურიკულუმი უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა.

6.2. ფინეთის გამოცდილება

მსოფლიოში ფინეთის განათლების სისტემა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულად მიიჩნევა. ბოლო ორმოცი წელია ფინეთი რეიტინგის სათავეში იყენებს ადგილს, მის განათლების სისტემას ხელმძღვანელობს განათლების ეროვნული საბჭო, რომლისთვისაც სწავლება-სწავლის პროცესში, შეფასება უმნიშვნელოვანესი საკითხია. ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებებში ვკითხულობთ, რომ სწავლების პროცესში შეფასებას უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საჭიროა მოსწავლეს

ჰქონდეს უნარი თვითშეფასების და ურთიერთშეფასების. ეს კი მისცემს მოსწავლეს საშუალებას მასწავლებელთან ერთად ჩამოაყალიბოს თავისი განვითარების გეგმა.

1999 წელს ფინეთის ეროვნულმა საბჭომ მოსწავლეთა შეფასების ძირითადი პრინციპები განსაზღვრა:

1. სასწავლო და სამუშაო უნარების ქცევის შეფასება უნდა იყოს ინდივიდუალური, ჭეშმარიტი და მრავალმხრივი;
2. უკუკავშირი უნდა უჭერდეს მხარსმოსწავლის განვითარებას და მას უნდა უმაღლებდეს მოტივაციას;
3. აქცენტი უნდა გაკეთდეს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე;
4. შეფასება არის ძლიერი იარაღი მოსწავლეთა სწავლის პროცესის მხარდასაჭერად და თვითშეფასების უნარების განსავითარებლად.

საკლასო შეფასება იყოფა ორ კატეგორიად: განმავითარებელი და შემაჯამებელი. მასწავლებელს აქვს უფლება ეროვნულ სასწავლო გეგმაში აირჩიოს სწავლის მეთოდი, რომელიც უფრო მეტად შედეგიანი იქნება კონკრეტულ სიტუაციაში ცალკეული მოსწავლისათვის.

1998 წელს მიიღეს ფინეთის საბაზო განათლების აქტი (1998, 2010 შესწორებებით)

მასში განხილულია საკითხი მოსწავლეთა ცოდნის შეფასების შესახებ. ხაზგასმით აღნიშნულია, რომ შეფასება არის საშუალება მოსწავლეებში თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების განსავითარებლად. ასევე, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს შეფასების მეთოდების კომპლექსური გამოყენებით.

მომდევნო წლების განმავლოვბაში ფინეთის განათლების სისტემაში სუსტდება ცენტრალური მმართველობა და იზრდება სასწავლო დაწესებულებების ძალაუფლება გადაწყვეტილების მიღების დროს. ისინი ვალდებული არიან უზრუნველყონ განათლების მიღება თითოეული მოსწავლისათვის. ეს პროცესი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ცოდნის დონეზე.

ფინეთში მასწავლებლები ავტორიტეტით სარგებლობენ და დაფასებულნი არიან მათი საქმიანობისთვის. პედაგოგობა აქ საპატიო და რთულად მისაღწევი პროფესიაა.

როგორც „Basic education act“-შია აღნიშნული, ფინეთის სასწავლო პროგრამა მასწავლებლებს აძლევს ზოგად მითითებებს მუნიციპალიტეტები თვითონ ადგენენ საკუთარ სასწავლო გეგმას, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლები კი რათა გაუადვილდეთ სასწავლო მიზნის მიღწევა ადგენენ საკუთარ სასწავლო გეგმას, რომელშიც საჭიროების მიხედვით ითვალისწინებენ, როგორც ცენტრალური სასწავლო, ასევე მუნიციპალიტეტში შემუშავებულ გეგმასაც. ფინეთის სკოლების დიდ უმრავლესობას სახელმწიფო აფინანსებს.

ფინელი მასწავლებლის ყურადღების ცენტრში არის ის, თუ რა შესაძლებლობა აქვს მოსწავლეს და არა ის ჩააბარებს თუ არა მოსწავლე გამოცდას. ისინი მუშაობენ, რომ მოსწავლეს დაეხმარონ თავიანთი უნარის ბოლომდე გამოვლინებასა და განვითარებაში.

ფინეთში სამეცნიერო ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ აუცილებელია მოსწავლეს ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია საკუთარი განვითარების დონის, ნაკლოვანებების, მიღწევების შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე სრულყოფილად ავლენს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს და სწორედ ეს არის უმთავრესი ფინური განათლების მოდელისათვის.

მასწავლებლები სწავლის პროცესში მიმართავენ სხვადასხვა აქტივობას, ესენია: ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, დისკუსიები,სასწავლო დღიურები, სადაც მოსწავლეები ინიშნავენ შეასრულეს თუ არა დავალება. ამის შემდეგ ხდება მასწავლებლის მიერ დღიურის შემოწმება სწავლების შემდგომი ეტაპის დაგეგმვა. ეს კი მოსწავლეს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობის ბოლომდე გამოვლინებაში.

მასწავლებლები ბევრს მუშაობენ, რომ მოსწავლეებს შეუქმნან სწავლა-განვითარებისთვის შესაფერისი გარემო, სადაც მათ არ ეშინიათ შეცდომის დაშვებისა. აქ მასწავლებელი და მოსწავლე ერთად შრომობს სასწავლო მიზნების მიღწევისათვის. მოსწავლე გრძნობს, რომ სწავლაში წარმატებით მასწავლებლებსაც დიდ სიხარულს განაცდევინებენ. ფინეთში მასწავლებლები მშობლების ნდობითა და

სიყვარულით სარგებლობენ, რაც მოსწავლეთა სწავლის პროცესზე დადებითად აისახება.

ფინეთში მასწავლებლები სისტემატიურად იყენებენ ჩანაწერების რვეულებს, როგორც სწავლაში განვითარებისა და წინსვლის გარანტიას. შემუშავებულია დამხმარე სახელმძღვანელოებიც.

ზრუნვის საგანია ისიც, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ სწორი წარმოდგენა საკუთარ პიროვნებაზე ე.ი. ჰქონდეთ თვითშეფასების უნარი და აგრეთვე შეძლონ თანატოლთა შეფასებაც.

კურიკულუმის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანია მასწავლებლები და მოსწავლეები, პასუხისმგებლობის გრძნობის გაზიარებით ერთად წავიდნენ შემეცნების პროცესში. მასწავლებელი თავისუფლად იყენებს კონკრეტულ მეთოდს, რომელიც მისი აზრით ეფექტურია.სწავლების პროცეში ხდება სხვადასხვა მეთოდის: სწავლების თეორიები, საუბრის მეთოდი,დავალებების შემოწმება, პრობლემის გადაჭრა ჯგუფური მუშაობა და ა.შ. გამოყენება.

ფინელი მასწავლებელი მუდმივად აწარმოებს შემოქმედებით მუშაობას. ხშირად ცვლის აქტივობებს და აუმჯობესებს სწავლების მეთოდებს, რათა იპოვოს საუკეთესო სწავლაში წარმატების მისაღწევად. ხდება გათვალისწინება ყველა მოსწავლის ცოდნის, ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობების და ა.შ. მასწავლებლები ახალი მასალის ახსნისას ცდილობენ შეარჩიონ ისეთი მეთოდები, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს მისი გაგება. მათთვის არაა პრობლემა რამდენიმეჯერ ახსნან საგაკვეთილო მასალა, თუი კლასში ამის საჭიროებაა.

ვფიქრობ, საქართველოს განათლების სისტემისთვის მნიშვნელოვანია ესტონეთის და ფინეთის გამოცდილება ამ საკითხში. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ფინეთი ძალიან დაეხმარა ესტონეთს დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ, განათლების სისტემის განვითარებაში. მიუხედავად ამისა ესტონეთმა გაითვაალისწინეს საკუთარი შესაძლებლობები და ზუსტად არ გადაიღეს ფინეთის სასწავლო გეგმა.

როცა გავაანალიზეთ ფინეთის და ესტონეთის სწავლების მეთოდი დავინახეთ მსგავსებაც და განსხვავებაც. მსგავსების ახსნა მარტივია, განსხვავება კი იმაში

მდგომარეობს, რომ ესტონეთის კურიკულუმებში პირდაპირაა გაწერილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებელი ვალდებულია აუცილებლად გამოიყენოს იგი. ფინელები კი მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესში აძლევენ აბსოლუტურ თავისუფლებას. ეს იმით აიხსნება რომ ფინეთში ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს მაგისტრის სტატუსი და არის პროფესიონალი. ამიტომ მშობლები და სახელმწიფო ენდობიან მათ და საჭიროდ არ მიიჩნევენ ჩარევას სწავლა-სწავლების პროცესში. ხოლო ესტონელი მასწავლებლის მომზადების დონე არაა ისეთი როგორიც ფინელი მასწავლებლისა. ესტონეთში მასწავლებელი კანონით ვალდებულია, როგორ წარმართოს სწავლის პროცესი, ფინელი პედაგოგი კი თავად იღებს გადაწყვეტილებას და არ სჭირდებათ დამატებითი რეგულაციები ცენტრალურ დონეზე.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ რომ ფინური სწავლის მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მათ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ აიმაღლოს ცოდნა განმავითარებელი შეფასების უნარის ჩამოყალიბებაში და შესაძლებელს ხდის წარმატების დაფიქსირებას.

მნიშვნელოვანია, რომ დაუფიქრებლად არ გადმოვიტანოთ წარმატებული ქვეყნის მაგალითები, იგი უნდა მოვარგოთ ჩვენი განვითარების დონეს, ესტონეთის მსგავსად, აგრეთვე ზემოთ აღწერილი მაგალითები გვარწმუნებს, რომ წარმატების მიღწევისთვის საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა საკითხისადმი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, შრომა მისი გეგმაზომიერად განხორციელებისათვის.

კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო პროგრამის სამი სემესტრის განმავლობაში გავდიოდი სასკოლო პრაქტიკას თბილისის ნომერ 128-ე და 21-ე საჯარო სკოლებში. გარდა ამისა, ვესწრებოდი ინგლისური ენის გაკვეთილებს ქობულეთის ნომერ პირველ, მეორე, მესამე და მეექვსე საჯარო სკოლებში. ასე რომ მქონდა საშუალება გავცნობოდი თუ როგორ იყენებენ მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას საგაკვეთილო პროცესში.

სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ მიჩვენა, რომ მასწავლებლები ძირითადად განმსაზღვრელი ტიპის შეფასებას იყენებენ, რადგან მოსწავლის შეფასება და ქულის ჟურნალში აღრიცხვა აუცილებელია. განმავითარებელი შეფასება და რუბრიკების შექმნა იშვიათია, ზოგჯერ კი საერთოდ უარს ამბობენ მასზე.

საკითხის შესწავლისათვის გამოყენებული იყო ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. ჩამოვაყალიბე კვლევის **ჰიპოთეზაც:**

ინგლისური ენის სწავლებისას საბაზო საფეხურზე მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას სათანადოდ არ იყენებენ.

შედეგების ანალიზმა ჰიპოთეზა დაადასტურა. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ აქცევს განმავითარებელ შეფასებას და უპირატესობას ანიჭებს განმსაზღვრელ შეფასებას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქობულეთის და ბათუმის სკოლების 20-მა მასწავლებელმა (ქობულეთის #1, #2, #3, #6 საჯარო სკოლებმა, ბობოყვათის საჯარო სკოლამ, ქობულეთის სასულიერო გიმნაზიამ, ბათუმის #2 და #3 საჯარო სკოლებმა)

მონაცემთა ანალიზი

ქვემოთ მოცემულია ინტერვიუს კითხვები და განსხვავებული პასუხები:

1. რა არის განმავითარებელი შეფასება?

1. „განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული ბავშვისგანვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას“.

2. „განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწორი მიმართულებით წარიმართოს სწავლის პროცესი, რადგან მოსწავლეს იქვე აგებინებ რატომ დაიწერა ესა თუ ის ქულა“.

3. „განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობათა და სწავლების სტრატეგიით ინფორმაციის მოპოვებას, მოსწავლეთა გაგება-გააზრების დონის შესახებ და იმ ინფორმაციას გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად“.

4. „განმავითარებელი შეფასება არის მასწავლებლის შენიშვნები მოსწავლის მიმართ, რომელთა მიზანია წინსვლა სწავლის პროცესში“.

5. „განმავითარებელი შეფასებისას არ ხდება ქულებით შეფასება. მოსწავლეებს ეძლევა სიტყვიერი და წერილობითი ინსტრუქცია მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ“.

6. „განმავითარებელი შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებელი ეუბნება და მიუთითებს თუ რა შეუძლია შეცვალოს, გააუმჯობესოს მომავალში“.

7. „განმავითარებელი შეფასება ეს არის სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარები მოსწავლის ცოდნის შეფასებისას, რომლის მიზანია ქულისა და შეცდომის გამოსწორება“

8. „განმავითარებელი შეფასება მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როცა მოსწავლეს აქვს პრობლემა და ის უნდა გამოასწოროს“.

9. „განმსაზღვრელი შეფასება არის მთავარი, განმავითარებელი კი-ზედმეტი“

10. „განმავითარებელი შეფასება არის მთავარი შემადგენელი სწავლის პროცესის, რადგან მისით ხდება დაკვირვება, ანალიზი, მოქმედების გზების დასახვა პრობლემის მოსაგვარებლად და სწავლის გაუმჯობესება“.

11. „განმავითარებელი შეფასება მოსწავლეს ხელს უწყობს სწორი მიმართულებით წარმართოს სწავლის პროცესი“.

12. „აკონტროლებს თითოეული მოსწავლის დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას“.

13. „განმავითარებელი შეფასება არის შეფასების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც მასწავლებელი იყენებს მოსწავლეზე დახმარების მიზნით, კომენტარი, შენიშვნა, მითითება“.

14. „შეფასების სისტემის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის მიღწევების დადგენას სიტყვიერად“.

15. „განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობათა და სწავლების სტრატეგიით ინფორმაციის მოპოვებას მოსწავლეთა გაგება- გააზრების დონის შესახებ და იმ ინფორმაციის გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად.“

16. „განმავითარებელი შეფასება მიმართლია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე იძლევა ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური მოსწრების, პროგრესის შესახებ“. მასწავლებლების ერთი ნაწილი მხოლოდ შენიშვნებით შემოიფარგლება და არ იყენებს განმავითარებელ შეფასებას.

17. „ტრენინგებზე ვერაფერი ვერ მივიღე პრაქტიკაში გამოსადეგი“.

18. „უკმაყოფილო ვარ ტრენინგებით, რადგან მათი რეკომენდაციები არ იყო პრაქტიკული. ამიტომ განმავითარებელ შეფასებას სწავლის პროცესში ვერ ვიყენებ“.

19. „მოსწავლეთა მრავალრიცხოვნებამ და დროის სიმცირე არის მიზეზი, რომ განმავითარებელ შეფასებას კლასთნ მუშაობისას ვერ ვიყენებ“.

20. „ განმავითარებელი შეფასება მოსწავლის წარმატება-წარუმატებლობის მხარეების ზეპირი კომენტარია. ამავე დროს სხვადასხვა აქტივობითა და სწავლების სტრატეგიით მოვიპოვებთ ინფორმაციას, მოსწავლეთა გაგება-გააზრების დონის შესახებ, რომელსაც შემდეგ ვიყენებთ მათი პროგრესის ხელშესაწყობად“.

გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობაზე და ხაზს უსვამს მისი დამკვიდრების აუცილებლობაზე ინგლისური ენის სწავლების პროცესში. აღსანიშნავია ისიც რომ, მასწავლებლები არ აძლევენ მოსწავლეებს რეკომენდაციებს თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს ამ უკანასკნელმა საკუთარი შედეგი.

2. რა აზრის ხართ განმავითარებელი შეფასების შესახებ?

1. „განმავითარებელი შეფასება დადებითი ეფექტის მქონეა განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი ნათლად ხედავენ თავიანთ სუსტ მხარეს“

2. „განმავითარებელი შეფასებით წავახალისებთ მოსწავლეებს, აღვნიშნავთ განხორციელებულ წინსვლას წინარე შედეგებთან, წინარე დონესთან შედარებით“

3. „განმავითარებელი შეფასება საჭიროა, იმიტომ რომ ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, ის აძლევს მასწავლებელს საშუალებას დროულად აღმოაჩინოს მოსწავლის სუსტი მხარეები და მისცეს სწორი მიმართულება მათ დასაძლევად, სანამ მის ცოდნას ქულით შეაფასებს“.

4. „ინდივიდუალური მუშაობის დროს ზოგჯერ განმავითარებელ შეფასებაზე უფრო ეფექტური განმსაზღვრელია, რადგან როცა დაბალ ქულას წერ მაშინ მოსწავლე ხვდება, რომ საკითხი არ იცის.“

5. „განმავითარებელი შეფასების მოსმენა მნიშვნელოვანია არა მარტო ერთი ინდივიდუალური მოსწავლისთვის, არამედ მთლიანად კლასისთვის, რადგან მოსწავლეები ითვალისწინებენ მითითებებს დასწავლის პროცესში“

6. „მოსწავლეები ძირითადად სუბიექტურად აფასებენ საკუთარ თავს, რადგან ჯერ არ აქვთ განვითარებული ობიექტური თვითშეფასების უნარი, ამიტომ მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება“

7. „მოსწავლეები ხედავენ დადებით და უარყოფით მხარეებს, აანალიზებენ მათ, ფიქრობენ რა არის გამოსასწორებელი, ამდენად განმავითარებელი შეფასებას სწავლის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს“

8. „ყოველდღიურად განმსაზღვრელ შეფასებას ვერ ვახერხებ არის საკითხები, რომელიც უნდა შეფასდეს განმავითარებლად. ზოგ შემთხვევაში აუცილებელიცაა განმავითარებელი შეფასება.

9. „განმავითარებელი შეფასება უფრო მისაღებია მოსწავლისათვის, რადგან ის სიტყვიერი კომენტარით, თვითშეფასებით ან ურთიერთშეფასებით კეთდება“.

10. „ვფიქრობ, ეს საუკეთესო შეფასების ფორმაა, ის ეფექტიანია თუ პოზიტიური

ფორმით იქნება მიწოდებული და შეფასებული იქნება გამოსასწორებელი სფერო“.

11. „ის კარგი საშუალებაა მოსწავლის მოტივაციის ამაღლებისთვის“~~

12.„განმავითარებელი შეფასებისას შეიძლება ძლიერმა მოსწავლემ აღარ იმეცადინოს და მოემზადოს მხოლოდ შემაჯამებელი გაკვეთილისთვის“.

13. „განმავითარებელი კომენტარი გაცილებით უკეთესია განმსაზღვრელ შეფასებაზე, მეტად შედეგიანია. მისი გამოყენება სირთულეს არ წარმოადგენს არც მასწავლებლისთვის. არ ითხოვს მისგან კრიტერიუმების ჩარჩოზე მორგებას. აძლევ კომენტარს მაშინ, როცა გჭირდება და არ გავიწყდება(მასწავლებელს ხომ გაკვეთილზე ბევრის დამახსოვრება უწევს), რაზე უნდა მიუთითო, საჭიროების დროს იძლევი ამ კომენტარს“.

14. „განმავითარებელი შეფასება მიჭირს, რადგან ყველას შეფასებას ვერ ვასწრებ, განმსაზღვრელით ყველა მოსწავლეს უფრო მარტივად ვაფასებ“.

15. განმავითარებელი შეფასებისას როცა ეუბნები რომ აქვს წარმატება, ვაქებ და არ ვუწერ 10 ქულას მოსწავლეს უჩნდება პროტესტის გრძნობა“.

16. „განმავითარებელი შეფასება სიტყვაა მხოლოდ, განმსაღვრელი მოსწავლისთვის უფრო რეალურია, რადგან ხედავს ქულას“.

17. „განმავითარებელი შეფასება არ არის მთავარი, მთავარი განმსაზღვრელია. მოსწავლეც და მშობელიც მას ანიჭებს უპირატესობას“.

18. „ტყუილად ვლაპარაკობ მოსწავლე ინტერესით მაინც განმსაზღვრელ შეფასებას ელოდება’.

19. „ყველასთან ვერ ვასწრებ განმავითარებელ შეფასებას“

20. „საჭიროა პრაქტიკული გამოცდილების ხშირი გაზიარება მასწავლებლებს შორის, განმავითარებელი შეფასების პროგრესის შესახებ სასწავლო პროცესში“.

მასწავლებლების უმეტესობამ უპასუხა, რომ განმავითარებელი შეფასება მატებს თავდაჯერებულობას, უზრდის თვითშეფასებას და უმაღლებს მოტივაციას. ამიტომ მისი გამოყენება სწავლის პროცესში მიზანშეწონილად მიაჩნიათ. თუმცა კვლევის პროცესში გამოიკვეთა კატეგორია მასწავლებლების, რომელთაც გააზრებული არ აქვთ განმავითარებელი შეფასების როლი და მნიშვნელობა.

3. რამდენად ხშირად იყენებთ განმავითარებელ შეფასებას?

1. „განმავითარებელ შეფასებას ვიყენებ მოსწავლის ნებისმიერი წინსვლის წასახალისებლად“

2. „განმავითარებელ შეფასებას, ზეპირ კომენტარს, სისტემატიურად ვიყენებ, იგი უფრო აუცილებელია მოსწავლის განვითარებისთვის და უფრო მეტადაც ადვილია, ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს“.

3. „ზოგადი მითითებებით შემოვიფარგლები. განმავითარებელი შეფასებას არ ვიყენებ“.

4. „განმსაზღვრელ შეფასებას ვიყენებ, მოსწავლესაც და მშობელსაც ეს აინტერესებს“.

5. „განმავითარებელი შეფასებას ყოველთვის ვიყენებ, რადგან მისი მიხედვით დგინდება თუ როგორ აითვისა მოსწავლემ მასწავლებლის მიწოდებული მასალა, იგებს რა შედეგზე გავიდა, რა მიზანს მიაღწია“.

6. „სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ვსახავ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასებას, რადგან მეხმარება გავიგო, როგორ მივაღწიო მიზანს.მეძლევა საშუალება დავადგინო მოსწავლეების ცოდნის დონე და მის მიხედვით ვადგენ გეგმას“.

7. „არ მოგვეწოდება შესაბამისი მეთოდური ლიტერატურა. ვიყენებ განმსაზღვრელ შეფასებას. ჩემი მოსწავლე იშვიათად ჩაჭრილა გამოცდაზე“.

8. „გააჩნია გაკვეთილის თემატიკას და ფორმას“.

9. „თითქმის ყოველდღიურად სისტემატიურად თითქმის ყველა გაკვეთილზე“.

10. „ მას ვიყენებ ყოველი აქტივობის ბოლოს“.

11. „ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეთა პასუხების შემდეგ, თუ არაა შემაჯამებელი წერა“.

12. „რადგან მოსწავლეთა კონტიგენტი მაღალია სისტემატიურად ვერ ვიყენებ“

13. „ეროვნული სასწავლო გეგმით ვსახავ სასწავლო პროცესს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასებას, რადგან მეხმარება გავიგო თუ როგორ მივაღწიე მიზანს. მეძლევა საშუალება დავადგინოთ მოსწავლეების ცოდნის დონე და ამის მიხედვით ვადგენთ გეგმას, როგორც კლასისთვის, ისე ინდივიდუალურად.“

14. „ტრენინგებზე ვერაფერს ვსწავლობ, ვმუშაობ პრაქტიკაში გამართლებული განმსაზღვრელი თემატიკით და მოსწავლეც კმაყოფილია და მშობელიც გააჩნია გაკვეთილის თემატიკას და ფორმას“.

მასწავლებელთა მცირე ნაწილი კითხვაზე პასუხის დროს შემოიფარგლება „დიახ“, „რა თქმა უნდა“ პასუხით, რაც თავისთავად მიანიშნებს თუ როგორი ხარისხით და სიხშირით გამოიყენებენ ისინი განმავითარებელ შეფასებას გაკვეთილზე.

გამოკითხულ რესპოდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ განმავითარებელ შეფასებას სწავლების ყველა ეტაპზე იყენებენ, რადგან ამ დროს მოსწავლეები იძენენ კრიტიკული აზროვნების უნარს, უყალიბდებათ მასწავლებლისადმი ნდობა, უკეთ აცნობიერებენ საკუთარ ნაკლოვანებებს.

მასწავლებლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ მიეწოდებათ სათანადო ლიტერატურა, ტარდება უხარისხო ტრენინგები და აქ ნასწავლი მეთოდები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და მათი პრაქტიკაში გამოყენება შეუძლებელია.

4. თქვენი აზრით ეფექტურია თუ არა განმავითარებელი შეფასების გამოყენება?

1. „განმავითარებელი შეფასებით მოსწავლისთვის ცნობილი ხდება მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს მოტივაციის ამაღლებაში, ამიტომ ეფექტურია“.
2. „ეფექტურია ნიშნის და ნაკლის გამოსწორება“.
3. „ეფექტურია როცა მოსწავლე სჭირდება წახალისება, სტიმული მიცემა, თვითშეფასების ამაღლება“.
4. „ვფიქრობ, ეფექტურია, მაგრამ ვერ ვიყენებ რადგან არ მაქვს შესაფერისი ლიტერატურა, ცოდნა არ გამივლია ტრენინგი“.
5. „შეფასების ეს ფორმა ზრდის მოტივაციას და აკადემიურ მოსწრებას“.
6. „ეფექტურია მაშინ, როცა სწორად გაკეთებულია განმავითარებელი შეფასება(არა „ყოჩაღ შენ“, არამედ „ყოჩაღ ამისთვის“, რისთვის მიუთითო უნდა, ძლიერი და სუსტი მხარეები)“.
7. „ვცდილობ განმავითარებელი შეფასება ეფექტურად გამოვიყენო, თუმცა დროის უკმარისობის გამო ხშირად ვერ ვახერხებ ამას“.
8. „რა თქმა უნდა ეფექტურია,იგი ეხმარება მასწავლებელს სწორად წარმართოს სასწავლო პროცესი“.

9. „ტრენინგზე არაფერი ახალი კონკრეტული და გამოსადეგი არ თქმულა“.

10. „ლიტერატურა იმდენად ზედაპირულია, რომ ვერაფერს ვიგებ ნორმალურად“.

11. „დილეტანტი ტრენერები იყვნენ და ვერ გავიგე განმავითარებელი შეფასება, როგორ გავხადო ეფექტური სასწავლო პროცესში“.

12. „განმავითარებელი შეფასება ეფექტურია მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებისთვის.“.

13. „ჩემი აზრით, განმავითარებელი შეფასება ძალიან ეფექტურია, ის ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას“.

14. „განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის პროგრესს ამიტომ ეფექტურია“.

გამოკითხულ რესპოდენტთა უმეტესობა დაეთანხმა, რომ ეფექტურია განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში, რადგან ამით ხელს ვუწყობთ, როგორც სასწავლო მიზნის მიღწევას ასევე მოსწავლის პიროვნების განვითარებას. ინგლისური ენის სწავლების პროცესზე დაკვირვებამ გვიჩვენა რომ პრაქტიკაში განმავითარებელი შეფასების დანერგვა მასწავლებლებს უჭირთ, რადგან ბევრ მათგანს შეფასებაზე არანაირი ტრენინგი არ გაუვლია, ვინც გაიარა აღნიშნავს:

5. თქვენი აზრით, უწყობს თუ არა ხელს განმავითარებელი შეფასება აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას?

1. „უწყობს, თუ მასწავლებელი რეგულარულარად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, მოსწავლემ იცის რას უნდა მიაქციოს ყურადღება და ცდილობს აღმოფხვრას ხარვეზები“.

2. „დიდი მნიშვნელობა და ძალა აქვს მასწავლებლის სიტყვას, ამიტომ განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლის გაუმჯობესებას“.

3. „ზოგ შემთხვევაში შეიძლება განმავითარებელმა შეფასებამ ხელი შეუწყოს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას, ხოლო ზოგისთვის სტიმულის დამცემი აღმოჩნდეს“.

4. „მასწავლებლის აზრი მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის, ამიტომ ვთვლი რომ

განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას“.

5. „ზოგიერთი მოსწავლე ითვალისწინებს მასწავლებლის სიტყვიერ ან წერილობით მითითებას, ზოგისთვის კი მნიშვნელობა არ აქვს“.

6. „განმავითარებელი შეფასებას არ ვიყენებ, რადგან მთავარი განმსაზღვრელი შეფასებაა“.

7. „არც მოსწავლეს, არც მშობელს არ აინტერესებს განმავითარებელი შეფასება, ამიტომ არ ვიყენებ“.

8. „არ მაქვს შესაფერისი მეთოდური დახმარება, არ ვყოფილვარ ტრენინგზე, ამიტომ ვერ ვიყენებ განმავითარებელ შეფასებას გაკვეთილზე“.

9. „რა თქმა უნდა, ხელს უწყობს და ახალისებს მათ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში“.

10. „უწყობს, რადგან მოსწავლე მასწავლებლისგან ღებულობს სიტყვიერ უკუკავშირს უკეთესი შედეგის მისაღწევად, არკვევს თუ რისი გაუმჯობესება სჭირდება მას“.

11. „განმავითარებელი შეფასება, კონკრეტულად, სიტყვიერი კომენტარი, განმსაზღვრელ შეფასებაზე მეტად უწყობს ხელს მოსწავლის აკადემიურ წინსვლას, რადგან კონკრეტულ საჭიროებაზე მიუთითებენ მოსწავლეს, რომლის დაკონკრეტებაც, წინასწარ გათვალისწინება შეფასების კრიტერიუმში შეუძლებელიცაა“.

12. „განმავითარებელი შეფასება პირველ რიგში ხელს უწყობს აკადემიური მოსწრების ამაღლებას, რადგან მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ ასწორებს მის ნაკლოვანებებს. სწორად მიცემული განმავითარებელი შეფასებების საფუძველზე“.

13. „ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას“.

14. „განმავითარებელი შეფასება სტიმულის მიმცემია და ხელს უწყობს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას“.

15. „კრიტიკულ აზროვნებას აჩვევს მოსწავლეებს და ეს კარგია“.

16. „მოსწავლეები სერიოზულად ეკიდებიან თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას, ცდილობენ სწორად შეაფასონ, როგორც საკუთარი ასევე თანაკლასელის ცოდნა,ამიტომ ხშირად ვიყენებ“.

17. „სხვათა შეფასება უკეთ გამოსდით უფრო ობიექტურები და კრიტიკულები არიან ამ

დროს“.

18. „ვიყენებ, რადგანაც მოსწავლეები ობიექტურად აფასებენ თანატოლს და საკუთარ თავს“.

19. „ვიყენებ, მაგრამ ყოველდღიურად ვერა“.

20. „ურთიერთშეფასება და თანატოლთა შეფასება, განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია, რადგან თანატოლთა შეფასებას უფრო ადვილად იღებს და ითვალისწინებს მოსწავლე“.

მცირე ნაწილი საერთოდ არ იყენებს განმავითარებელ შეფასებას. ისინი ვერ ხედავენ კავშირს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და განმავითარებელ შეფასებას შორის.

გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. ხაზს უსვამენ შეფასების აღმრზდელობით ფუნქციას. ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მხრივ სახელმძღვანელოებში მწირი მასალაა მოცემული, შეიძლება ითქვას ფორმალურადაა მოწოდებული. ამიტომ საჭიროა მეთოდების დამუშავება და მიწოდება მასწავლებლებისთვის, რომ გაუმჯობესდეს ინგლისური ენის სწავლება.

7. იყენებთ თუ არა შეფასების რუბრიკებს?

1. „ვიყენებ, რადგან მოსწავლესა და მშობელს დავუსაბუთო თუ რატომ, რა კრიტერიუმის მიხედვით დავწერე ესა თუ ის ნიშანი.“

2. „შეფასების რუბრიკები წინასწარ მაქვს თვალსაჩინოდ გამოკრული კლასში. მოსწავლემ იცის რას და როგორ ვაფასებთ. კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია“

3. „ვიყენებ სახელმძღვანელოში მოცემულ რუბრიკებს.“

4. „ეროვნული სასწავლო გეგმის გამოყენებით ვადგენ რუბრიკებს, იქ გარკვევითაა მითითებული რა უნდა შეძლოს ამა თუ იმ ასაკის ბავშვმა.“

5. „მე თვითონ ვწყვეტ და ვარჩევ თუ როგორი რუბრიკა გამოვიყენო ინგლისური ენის შესწავლისას.“6. „მე თვითონ ვქმნი რუბრიკებს და მათ წარმატებით ვიყენებ.“

7. „ინტერნეტიდან ვიღებ და ვაკეთებ „handout”-ებს“

8. „ვიყენებ ინგლისური ენის კათედრიდან მოწოდებულ რუბრიკებს“

9. „ინგლისური ენის სახელმძღვანელოებში მოცემული რუბრიკები მწირია, ამიტომ რუბრიკების როლი სასწავლო პროცესში უმნიშვნელოა“.

10. „მრავალრიცხოვან კლასში მიჭირს თვითშეფასების რუბრიკების შექმნა, ამიტომ იშვიათად ვაკეთებ მათ.“

11. „ვიყენებ, მაგრამ ხშირად არა, სემესტრის განმავლობაში დაახლოებით ორჯერ“.

12. „სახელმძღვანელოში მოცემულია და იქვე ვავსებთ“.

13. „არ მიცდია რუბრიკების გამოყენება“.

14. „ნაკლებად, მრავალრიცხოვან კლასთან მუშაობისას დრო არ მრჩება რუბრიკებისთვის“.

15. „დასანანია, რომ დრო არ მრჩება რუბრიკების გასაკეთებლად“.

16. „შეფასების რუბრიკებს ვიყენებთ გაკვეთილზე“.

17. „იშვიათად ვიყენებ შეფასების რუბრიკებს გაკვეთილზე“.

18. „მოსწავლეთა კონტიგენტი მაღალია და დრო არ მჩება რუბრიკების შექმნისათვის“.

მასწავლებელთა უმრავლესობა თვლის, რომ მოსწავლეთა ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მნიშვნელოვანია და ყურადღებას ამახვილებენ მათ გამოყენებაში ინგლისური ენის სწავლების პროცესში. აღსანიშნავია, ისიც რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი იცნობს განმავითარებელი შეფასების ამ ფორმას და აქვს ინფორმაცია მოსწავლეების ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების შესახებ/ მცირე ნაწილი კი არ იყენებს სწავლების ამ ფორმას.

მასწავლებელთა ნაწილი ცდილობს შექმნას რუბრიკები და მიაწოდოს მოსწავლეებს, დანარჩენები კი იყენებენ სახელმძღვანელოებში მოცემულ რუბრიკებს, რაც იმდენად მცირეა, რომ არ იძლევა რეალურ შედეგს. მცირე ნაწილი კი საერთოდ არ იყენებს რუბრიკებს სასწავლო პროცესში.

8. როგორ ქმნით მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებს?

1. „მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებს ვქმნი ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით და კლასის შესაძლებლობების გათვალისწინებით“

2. „შეფასების რუბრიკებს ვადგენ სტანდარტების შესაბამისად. ვსარგებლობ ტრენინგზე მოწოდებული მოდელებით.“

3. „შეფასების რუბრიკებს ვქმნი დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესიდან გამომდინარე“4. „ინგლისურის ენის პროგრამიდან გამომდინარე მოსწავლეების საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით“

5. „სქემებისა და რუბრიკების გარეშეც აუარებელი საქმე მაქვს“

6. „თუ მომაწოდებენ რუბრიკებს, გამოვიყენებ, მე სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ვახერხებ მათ შექმნას.“

7. „სახელმძღვანელოში მოცემულია მწირი მასალა რუბრიკების შესახებ, ამიტომ ნაკლებად ვიყენებ რუბრიკებს“.

8. „სკოლაში საგაკვეთილო პროცესში აუარებელი საქმე მაქვს თუ მომაწოდებენ რუბრიკებს გამოვიყენებ“.

მასწავლებელთა ნაწილი აღნიშნავს, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებს რუბრიკებს, მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ სახელმძღვანელოში მწირი მასალაა მათ შესახებ და ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ როლს. ნაწილი კი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ იყენებს განმავითარებელი შეფასების სქემებსა და რუბრიკენს, ვერ ხედავს მათი გამოყენების საჭიროებას. არც ერთი მათგანი არ რთავს მოსწავლეებს რუბრიკების შექმნის საქმეში.

9. განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტს იყენებთ კლასში?

1. „.განმავითარებელი შეფასებით ვახდენ მოსწავლეთა წახალისებას ან დასჯას.'

2. „ვეუბნები, რომ ძალიან გამახარე, რომ კარგად დაწერე.“

3. „მომწონს შენი ცოდენა, ყოჩაღ, ასე გააგრძელე.“

4. „მიხარია, რომ ახსნილი მასალა თქვენთვის გასაგებია... ან არ ვარ კმაყოფილი თქვენი მსჯელობით, ამ საკითხს განმეორებით აგიხსნი.“

5. „ზეპირ და წერილობით კომენტარებს დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.“

6.რა გაიგეს ან ვერ გაიგეს ამის შესახებ ვაძლევ კომენტარს ან ვაკეთებ ჩანაწერს.“

7. „ვაკვირდები მოსწავლეთა მიერ პრაქტიკული დავალების შესრულებას და რაც ვერ გაიგეს იმ საკითხის ახსნას ვიწყებ. ზოგჯერ ვინც გაიგო ის საუბრობს, ზოგჯერ კი

8. „არ მიცდია, რადგან ჩემი მუშაობის მეთოდი: შექება, წახალისება, დასჯა უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია.“

9. „ვფიქრობ საინტერესო იქნებოდა, მაგრამ მრავალრიცხოვან კლასთან მუშაობისას საქმე ისედაც თავზესაყრელი მაქვს.“

10. „კლასის წინაშე ვაკათებ შეფასებას და მოსწავლე შემდეგისთვის ცდილობს გამოასწოროს შეცდომები, რომ მეორედ ისევ არ მიიღოს შენიშვნები კლასის წინაშე.“

11. „განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს ვიყენებ.“

12. „რა თქმა უნდა ვიყენებ“

13. „არც ერთს არ ვიყენებ, რადგან მაგისთვის დრო არ მრჩება.“

14. „პირველად ნაკლზე უნდა მიიუთითო და შემდეგ საჭიროა რეკომენდაცია“

15. „უნდა მიუთითო რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება“

16. „ძირითადად სწორია, არასწორია კომენტარებით შემოვიფარგლები“

17. „1. რეფლექსია(ზოგჯერ),

    2. გასაცვლელი ბარათები,

    3. ათი ყველაზე მნიშვნელოვანი,

    4. შიდა წრე-გარე წრე,

    5. „შავი ლაქა“,

    6. ჭეშმარიტია/მცდარია,

7.ვინ უპასუხებს შეკითხვებს?“

18. „გასაცვლელი ბარათები-რა ისწავლეს დღეს, ახალი მასალის ახსნისას-ათი ყველაზე მნიშვნელოვანი, ნასწავლი მასალის შესახებ-შიგა წრე, გარე წრე-მოსწავლეთა წრეები პირისპირ დგანან კითხვას პასუხობენ, მერე შებრუნდება პირიქით.“

19. „1.გასაცვლელი ბარათები

2.სწორია-არასწორია

3.კითხვების დასმა

4.აუხსენი შენზე პატარა/აუხსენი სხვაას

5.დაკვირვება“

20. „1.საშინაო დავალების შემოწმება,

2.ზეპირმეტყველება,

3.კითხვა,

4.წერა,

5.გაკვეთილში ჩართულობა,

6.გაკვეთილის ქცევის წესების დაცვა“

ვინც ვერ გაიგო ის ცდილობს ზეპირი კომენტარით გაერკვეს საკითხში. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ვიყენებ .განმავითარებელი შეფასებას, თუ როგორ უნდა გაეკეთებინათ დავალება, თან შევაქებ ვინც საშიანო დავალება კარგად შეასრულა.“

მასწავლებელთა ნაწილმა განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა არ იცის.

ზოგიერთმა მასწავლებელმა მხოლოდ კი და არათი მიპასუხა:

მცირე ნაწილი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

რესპოდენტთა დანარჩენმა ნაწილმა ზუსტად მიუთითა განმავითარებელი შეფასების რა ინსტრუმენტს იყენებს სასწავლო პროცესში.

ამ შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით მცირე ნაწილი იყენებს სწორად .განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ისინი უფრო ენდობიან საკუთარ გამოცდილებას სასწავლო პროცესის წარმართვისას.

მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ მოსწავლეთა წინსვლის შეფასებას ანუ ცოდნის გაზომვას ახდენს განმსაზღვრელი შეფასებით და შემაჯამებელ და აღნიშნავს რომ ამით აქვთ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია. გარკვეული ნაწილი მიმართავს მოსწავლებზე დაკვირვებას მცირე ნაწილი აკეთებს ჩანაწერებს. მნიშვნელოვანია რომ მხოლოდ რამდენიმე სკოლის მასწავლებლები რომლებიც სწორად ახდენენ მოსწავლეთა წინსვლის შეფასებას და აღნიშნავენ რომ თემის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეთა წინსვლის შეფასებისთვის საუკეთესო საშუალება ჩანაწერების გაკეთებაა.

10. როგორ ახდენთ მოსწავლეთა წინსვლის შეფასებას?

1.“ ეს გვეხმარება სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში და რაც მთავარია ვხედავ ჩემი შრომის შედეგს.”

2. ერთმა მასწავლებელმა პირდაპირ განაცხადა:“ არ ვაკეთებ ჩანაწერებს ვფიქრობ უკეთესია თვითონ მოსწავლეები თუ ჩაიწერენ შენიშვნებს და გამოასწორებენ “

ნაწილი მასწავლებლების ხვდებოდა რომ ჩანაწერების წარმოება მოსწავლეთა წინსვლის შეფასების საკითხში აუცილებელი იყო მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამოამას ვერ ახორციელებდნენ.

3. “კარგი იქნებოდა თითოეული მოსწავლეზე ჩანაწერების გაკეთება მაგრამ მოსწავლეთა კონტიგენტი მაღალია და ვერ ვასწრებ ჩანაწერების გაკეთებას ”

11. როგორი გავლენა აქვს უკუკავშირს მოსწავლეზე?

მასწავლებელთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ უკუკავშირი არის ზეპირი ან წერილობითი კომენტარები და დადებითი გავლენა აქვს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზედმეტად მისი გამოყენება ახშობს მოსწავლეთა მოტივაციას რადგან იგი ეჩვევა და აღარ რეაგირებს.

1 „უკუკავშირი აუცილებელია მოსწავლეს წარმატებისთვის რადგან ის დადებითად მოქმედებს მოსწავლის წინსვლაზე სწავლაში".

2 „დადებითი, რადგან ხარისხიანი უკუკავშირის დროს ხდება სწავლაში პროგრესი".

3 „უკუკავშირით ხორციელდება მოსწავლის ყურადღების მიპყრობა სასწავლო მიზნისკენ, მისი ძლიერი მხარეებისკენ. მოსწავლე ღებულობს ზუსტ ინფორმაციას სწავლის გასაუმჯობესებლად ე.ი. უკუკავშირს დადებითი გავლენა აქვს მოსწავლეზე".

4 „უკუკავშირით მოსწავლე იგებს როგორ შეიძლება წაიწიოს წინ დასახული მიზნისკენ"

5 „ზომიერი უკუკავშირი დადებითად მოქმედებს მოსწავლეზე".

6 „მოსწავლე სარგებელს იღებს მასწავლებლის უკუკავშირისაგან, როდესაც მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს დავალებაზე და არა ქულაზე. ხსნის რის გაკეთება არის საჭირო მოსწავლისაგან, რომ სათანადო სტრატეგიების გამოყენებით მიღწეულ იქნას სწავლის მიზანი".

7 „დადებითი, რადგან გამოიყენება პოზიტიური და უარყოფითი კომენტარები. პოზიტიური კომენტარები იმის აღსანიშნავად, რაც კარგად გააკეთა მოსწავლემ. უარყოფით კომენტარსაც აქვს დადებითი გავლენა, როცა მას თან ერთვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პოზიტიური კომენტარები".

8 „სასარგებლო გავლენა აქვს უკუკავშირს მოსწავლეზე, რადგან იგი კონცენტრირებულია დავალებაზე, ხსნის, რატომ არის სწორი ან არასწორი ესა თუ ის დებულება ან მოქმედება, წარმოაჩენს რა არის მიღწეული სწავლაში და რა არის გასაკეთებელი მასწავლებლის და მოსწავლის მიერ".

9 „ უკუკავშირი დაკავშირებულია სწავლის მიზანთან და სასწავლო პროცესთან, მას დადებითი გავლენა აქვს მოსწავლეზე".

10 „როგორც წერილობით ასევე ზეპირ უკუკავშირს აქვს დადებითი გავლენა მოსწავლეზე, რადგან იგი ხელს უწყობს მოსწავლეს სწავლაში“. 11. ყველა სხვა ფაქტორებთან ერთად, უკუკავშირი ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას, ამიტომ მას დადებითი გავლენა აქვს მოსწავლეზე“. კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებლები იშვიათად მიმართავენ წერილობით უკუკავშირს. 12. „რა საჭიროა წერილობითი უკუკავშირი გასაგებად ვეუბნები ზეპირად დავთვლი რომ ეს საკმარისია”. 13. „200 მოსწავლე მყავს ამიტომ ჩემთვის შრომატევადია წერილობითი კომენტარები” 12. რა პრობლემები გექმნებათ განმავითარებელი შეფასების გამოყენების დროს?

რამდენიმე სკოლაში კვირაში ერთხელ კრებენ მოსწავლეების რვეულებს, უკეთებენ წერილობით უკუკავშირს და ისე უბრუნებენ ამას დადებითი შედეგი აქვს აღნიშნავენ მასწავლებლები.

მცირე ნაწილი ზეპირ და წერილობით უკუკავშირს აკეთებენ გაკვეთილზევე რადგან თვლიან რომ როცა გამოჩნდება პრობლემა, მაშინვე არის საჭირო რეაგირება ე.ი. უკუკავშირის გამოყენება.

საკითხის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასწავლებლების უმეტესობა იყენებს უკუკავშირს სწავლის პროცესში და მოწესრიგებული აქვთ ეს საკითხი.

სავალალო მდგომარეობა გამოიკვეთა საჯარო სკოლებში, რადგან მასწავლებლების უმრავლესობა ვერ ხედავს პრობლემას ან არ საუბრობს ამ საკითხზე, თუმცა კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, მართალია არც ისე დიდი რაოდენობით, მაგრამ მაინც არიან მასწავლებლები, რომლებიც ღიად საუბრობენ პრობლემებზე. ისინი აღნიშნავენ:

1.“მოწოდებული მეთოდური ლიტერატურა არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებითი წყაროების მოძიება”

2.“არანაირი რეკომენდაცია, სქემა და ლიტერატურა არ მოგვეწოდება”

3.“ტრენინგები უშედეგოა, რადგან მხოლოდ ზოგადი მითითებებია და არაფერი კონკრეტული”

ხუთმა მასწავლებელმა პირდაპირ აღიარა, რომ განმსაზღვრელ შეფასებას განმავითარებელ შეფასებასთან შედარებით მოსწავლეები და მშობლებიც ანიჭებენ.

4.“ვერ ვახერხებ შესწავლილი თეორიული მასალის პრაკტიკაში გამოყენებას”

5. ”ზოგისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განმსაზღვრელ შეფასებას, რადგან განმავითარებელი შეფასებით ვერ იგებს, რომ არ იცის”

6. ”განმავითარებელი შეფასება მთავარი არ არის. მშობლები უპირატესობა სანიჭებენ ქულას და არა იმას კონკრეტული ამოცანის შესრულებისთვის რა საჭირო უნარები განუვითარა მასწავლებელმა მის შვილს”

7. ”ხშირად მშობლები განმავითარებელ შეფასებას არ თვლიან მნიშვნელოვნად და უპირატესობას ქულებს ანიჭებენ”

8.”განმავითარებელი შეფასება მოსწავლეს არ აინტერესებს, არ გისმენს ე.ი. ჩემს შრომას აზრი არ აქვს”

9.”ბავშვებს უხარიათ, რომ ქულა არ იწერება, ისინი ჩემს საუბარს მნიშვნელობას არ აძლევენ. როგორც მოსწავლისათვის, ასევე მშობლისთვისაც უპირატესია ქულა.”

საჯარო სკოლაში იმდენი ბავშვია დრო არ ჰყოფნით მასწავლებლებს, რაც დიდ პრობლემას ქმნის, ამიტომ მეტ ყურადღებას საშუალო დონეს აქცევენ.

10.”ყველა მოსწავლეს თან ვერ ვასწრებ, ამიტომ საშუალო დონეზე ვამახვილებ ყურადღებას”

11.. “სრულყოფილად ვერ ვახორციელებ კლასთან მუშაობას, რადგან კონტიგენტი მაღალია, ამიტომ ნაკლები ყურადღება ექცევათ ნიჭიერ დასუსტ მოსწავლეებს”

12. “დრო არ მყოფნის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის, ყველა მოსწავლესთან ვერ მივდივარ, სიხარულით გავიზიარებ გამოცდილებას, თუ ვინ მეახერხებს”

13. “მუდმივად მაქვს კითხვა, რამდენად ვარ მართალი თითოეულ მოსწავლესთან. მე არ

ვარ კმაყოფილი ჩემი მუშაობით კლასთან.”

14. “სულ მაქვს პრობლემა განმავითარებელი შეფასების გამოყენებისას, ვფიქრობ ვცდები, რომ კლასთან, თითოეულ მოსწავლესთან, ერთნაირი ძალით ვერ ვმუშაობ.

15. “წარმატებული მოსწავლეები ხშირად ვერ ხვდებიან რატომ რჩებიან უყურადღებოდ და პროტესტს გამოთქვამენ ჩემი მისამართით”

16. “კლასში გამოიყოფა სამი დონე: მაღალი, საშუალო და დაბალი. იმის გამო, რომ მოსწავლეთა დიდი რაოდენობაა კლასში, ამიტომ მეტ ყურადღებას ვაქცევ საშუალო დონეს”.

17. “ოჯახების მატერიალური სიდუხჭირე უარყოფითად აისახება სასწავლო პროცესზე.”

18. “ბავშვები ხშირად უსაუზმოდ მოდიან გაკვეთილზე და ვგრძნობ, რომ ამის გამო ვერ ახერხებენ ყურადღების მობილიზებას, ვერაფერს ვეუბნები.”

19. “ვხედავ ზოგიერთ მოსწავლეს თვეების განმავლობაში არ აქვს ნორმალური კვება. ეს ბუნებრივია, რომ აისახება სწავლაზე”

20.”ყოფილა შემთხვევა მოსწავლეზე მიმიწოდებია პური და წყალი. ძალზედ რთულია ამ პირობებში მუშაობა.”

დასკვნები

კვლევის პროცესში დადასტურდა განმავითარებელი შეფასების როლი სწავლების პროცესში. გამოიკვეთა საკითხის მნიშვნელობა საგანმანათლებლო სივრცესში და წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლიან ამ პროცესის სწორად განხორციელებას. კერძოდ:

- განმავითარებელ შეფასებას ეროვნულ სასწავლო გეგმაში მცირე ადგილი ეთმობა. განათლების სამინისტროს მიერ მასწავლებლებისთვის შეთავაზებული მეთოდური ლიტერატურა მწირია, ისინი არ გვაძლევენ პრაქტიკულ მუშაობაში მიზნის მიღწევის საშუალებას.
- განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმის თვითშეფასების მნიშვნელობას ეხმიანება გრიფირების წესში შესაბამისი პუნქტი, რომელიც სახელმძღვანელოებში სხვადასხვა სქემების არსებობას მოითხოვს, თუმცა როგორც კვლევამ აჩვენა სახელმძღვანელოებში მოცემული მასალა არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებითი რესურსების მოძიება. მასწავლებლისა და მოსწავლის ჩართულობა სხვადასხვა სქემების შექმნასა და განხორციელებაში.
- გარდა აღნიშნული ხარვეზებისა, ერთ-ერთ პრობლემად რჩება ისიც რომ განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები ქართულ პედაგოგიურ სივრცეში სათანადოდ არ არის გააზრებული, მათზე იშვიათად იწერება.
- სავალალო მდგომარეობა გამოიკვეთა აჭარის საჯარო სკოლებში, რომლებშიც კვლევა ჩატარდა, სადაც მასწავლებელთა დიდ ნაწილს საერთოდ არ ესმის განმავითარებელი შეფასების არსი და მას უკუკავშირთან აიგივებენ. ძირითადად მუშაობენ ე.წ საშუალო დონის მოსწავლეებთან და ენდობიან მხოლოდ საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას.

რეკომენდაციები

კვლევის დროს გამოიკვეთა რომ პირდაპირი კავშირია თეორიულ მასალასა და პრაქტიკულ მუშაობას შორის. როცა თეორიულად საკითხი კარგად არის დამუშავებული (მაგალითად უკუკავშირი), პრაქტიკაშიც უფრო ეფექტურად იყენებენ, ხოლო თეორიულად ნაკლებად დამუშავებულ საკითხებს სქემებს, რუბრიკებს მასწავლებლები ფაქტობრივად არ იყენებენ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ შემდეგ რეკომენდაციებს:

- საჭიროა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით, გადაიხედოს ეროვნული სასწავლო გეგმა და მოსწავლის შეფასების დროს მოხდეს განმავითარებელი შეფასების, როგორც სწავლის ხარისხის საზომის, გათვალისწინება. დაიხვეწოს საკანონმდებლო რეგულაცია, მასწავლებლებს კანონით მოეთხოვოთ განმავითარებელი შეფასების გამოყენება სასწავლო პროცესში.
- განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ, რესურსცენტრებმა მასწავლებლებს შესთავაზონ მეთოდური სახელმძღვანელოები, რომლებშიც მოცემული იქნება პრაქტიკული რჩევები.
- აუცილებელია შემცირდეს მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების წარმატებით გამოყენებას.
- ვფიქრობ, უნდა გადაისინჯოს მასწავლებლების პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობისათვის შექმნილი ტრენინგ-მოდულები.
- აუცილებელია მასწავლებელთა და მშობელთა დამატებითი შეხვედრების ორგანიზება განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე. ი ნ.ჭოხონელიძე,ნ.კოსტავა, ნ.ქობულაძე სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები,ქუთაისი 2016, გვ.446, გვ 259;

2. ბოჭორიშვილი მ., მოსწავლის შეფასება მასწავლებლის ყოველდღიური ფიქრის ნაწილია, 2014

http://mastsavlebeli.ge/?p=1974

3. გორგოძე ს., ეფექტური განმავითარებელი შეფასება, 2016

http://mastsavlebeli.ge/?p=11953;

4. ეროვნული სასწავლო გეგმა

http://ncp.ge/ge/utskhouri-enebi/utskhouri-enebis-stsavlebis-safekhurebis-dakhasiateba

5. კობახიძე. თ, ნოზაძე. გ, ინასარიძე. მ, ბოჭორიშვილი. მ, შეფასება: მოსწავლე გაკვეთილი და შიდა საკოლო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016;

6. ლაბარტყავა ნ., რატომ არის მნიშვნელოვანი განმავითარებელი შეფასება, 2014

http://mastsavlebeli.ge/?p=2076;

7. ლორთქიფანიძე. დ დიდაქტიკა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983, გვ. 295;

8. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2665266;

9. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2665266;

10. ტყემალაძე. რ, დალაქიშვილი. ნ, პაჭკორია. თ, ბუწაშვილი. თ სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა განვითარების ცენტრი, 2008.

11. ხუნძაყიშვილი. მ, ბივერი. ს, განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, 2018;

12. Paul Black, Dylan Wiliam, developing the theory of formative assessment

13 E. Boyd, A. Green, G. Stobart, Effective feedback the key to successful assessment for learning.

14. Estonia

https://www.oecd.org/pisa/PISA-2015-estonia.pdf

15. National curriculum for basic schools

https://www.hm.ee/sites/default/files/est_basic_school_nat_cur_2014_general_part_1.pdf

დანართი 1

კვლევის კითხვარი

1. რა არის განმავითარებელი შეფასება?
2. რა აზრის ხართ განმავითარებელი შეფასების შესახებ?
3. რამდენად ხშირად იყენებთ განმავითარებელ შეფასებას?
4. თქვენი აზრით, ეფექტიანია თუ არა განმავითარებელი შეფასების გამოყენება?
5. თქვენი აზრით, უწყობს თუ არა განმავითარებელი შეფასება ხელს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას?
6. იყენებთ თუ არა ურთიერთშეფასებას და თვითშეფასებას საგაკვეთილო პროცესში?
7. იყენებთ თუ არა შეფასების რუბრიკებს?
8. როგორ ქმნით მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებს?
9. განმავითარებელი შეფასების რომელ ინსტრუმენტებს იყენებთ კლასში?
10. როგორ ახდენთ მოსწავლეთა წინსვლის შეფასებას?
11. როგორი გავლენა აქვს კრიტიკულ უკუკავშირს მოსწავლეზე?
12. რა პრობლემები გექმნებათ განმავითარებელი შეფასების გამოყენების დროს?

დანართი 2

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master of Arts (MA) program: **Teacher Education**

Natia Meskhidze

Study of Students' Formative Assessment Practices in Teaching English (at the Basic School of General Education).

The thesis is submitted to earn the Academic Degree of

Master of Arts (MA) in Teacher Education

Supervisor: Izabela Petriashvili, PhD

Associate Professor,

Faculty of Psychology and Educational Sciences, TSU

Tbilisi

2019